საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 2 ივნისი, 2004 წელი. №124 (4853) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◎ პრეზიდენტი

საქართველო არის სახელმწიფო, მას აქვს თავისი სახელმწიფო ინტერესები, ეკონომიკური სისტემა და ჩვენ მათ ბოლომდე დავიცავთ

ბატონ მიხეილ სააკაშვილის ბრიფინგი 2004 წლის 31 მაისს

როგორც ვიტყობინებოდით, 31 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში გამართა ბრიფინგი, რომელიც მიეძღვნა ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს. დაპირებისამებრ, გთავაზობთ საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის სრულ ტექსტს:

– მაქვს გარკვეული წინადადებები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ინტერესმოკლებული არ იქნება. უპირველეს ყოვლისა, იმ მოვლენებზე, რომლებიც დღეს განვითარდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და იმ პოლიტიკურ სარჩულზე, რომელიც ამას მისცეს. მინდა ვთქვა, რომ ჩვენ დავიწყეთ ძალიან სერიოზული ბრძოლა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად, მათ შორის, კონტრაბანდის აღმოსაფხვრელად. ასე თუ ისე, ჩვენ აჭარაში კონტრაბანდის ხვრელი ამოვქოლეთ, ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს ვდგამთ სამეგრელოში, სადაც კონტრაბანდული საქონელი აფხაზეთიდან შემოდის. იცით, რომ გუშინ წითელ ხიდზე განვახორციელეთ ოპერაცია. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გულუას სპეცრაზმმა, ასევე შინაგანი ჯარების სხვა დანაყოფებმა. სამწუხაროდ, ღალატის გარეშე ეს არ მოხდა: პოლიციის მეექვსე სამმართველოს თანამშრომელმა გაყიდა თავისი თანამებრძოლები და როცა იქ მივიდნენ, ბანდიტები მათ მომზადებული შეხვდნენ და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ახლა ის მოღალატე გაქცეულია. მე დავავალე შესაბამის სამსახურებს, რომ იგი დაუყოვნებლივ დააპატიმრონ.

იხ. მე-2 გვ.

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზეიმი პარლამენტში



1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე პარლამენტის რუსთაველის სახელობის დარბაზს სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი სხვადასხვა კატეგორიის ბავშვები ეწვივნენ. ზეიმს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დაესწრო. მან პატარებს ბავშვთა მსოფლიო დღის საერთაშორისო მნიშვნელობა გააცნო და მომავალ ბედნიერ საქართველოში ამაყად ცხოვრება უსურვა. ბავშვებმა პარლამენტის თავმჯდომარეს ლექსები წაუკითხეს და მასთან სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს. ნახეს თეატრალიზებული სპექტაკლი, რომელიც მათთვის სპეციალურად მოწვეულმა მსახიობებმა შეასრულეს. პატარა სტუმრებს პარლამენტის სახელით, სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

პარლამენტის პრესსამსახური.

დღეს ნომერშია:

ფარული კამერით გამოვლენილი მექრთამეები

რამდენი ხნით მოსპობს ცალკეული წუწკი პოლიციელების ხელმრუდობას უშუალოდ შს მინისტრის ინიციატივით განხორციელებული ფართომასშტაბიანი შემოწმება?

მე-2 გვ.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ...

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლტოლვილების უფლებები ყოველმხრივ იქნება დაცული.

მე-3 გვ.

როცა „შინაურ მღვდელსაც“ აქვს შენდობა...

ქართველი დასტაქრის მიერ გადარჩენილი კიდევ ერთი, ლამის განწირული პაციენტი.

მე-3 გვ.

გვინდა, პრეზიდენტმა საკუთარი თვალით ნახოს...

რის ჩვენებას აპირებენ თეზელები ქვეყნის ხელმძღვანელისთვის?

მე-4 გვ.

◎ კადრები

ეკონომიკის მინისტრად კახა ბენდუქიძე დაინიშნა

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ეკონომიკის მინისტრად რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი და ოლიგარქი კახა ბენდუქიძე დაინიშნა.

როგორც გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, „ქართული ეკონომიკის შემდგომი გაჯანსაღებისა და ეფექტურობის ზრდის მიზნით, პრეზიდენტთან შეთანხმებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკას რუსეთში ძალზედ ცნობილი და წარმატებული ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე უხელმძღვანელებს“.

ჟვანიას თქმით, მოლაპარაკებები ბენდუქიძის დასათანხმებლად საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ბენდუქიძე საქართველოში მალე ჩამოვა და მუშაობას უახლოეს მომავალში შეუდგება.

ინტერ-პრესი.

◎ კანონმდებლები

მიღებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები

პარლამენტის პლენარული სხდომა

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული კანონპროექტები განიხილეს.

პარლამენტარებს კანონპროექტი „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა წარუდგინა. 91 დეპუტატმა III მოსმენით პროექტი ერთხმად მიიღო. „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონპროექტთან ერთად I მოსმენით განიხილეს და მიიღეს მისგან გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტი: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ – 94 ხმით, ერთხმად; „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ – 99 ხმით, ერთხმად; „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ – 96 ხმით, ერთხმად; „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე – 102 ხმით, ერთხმად; „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ – 96 ხმით, ერთხმად; „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ – 102 ხმით, ერთხმად;

იხ. მე-2 გვ.

◎ გუშინ

გაიხსნა ახალი ბაღი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისში, მერვე პოლკის დასახლებაში, მორიგი ბაღი გახსნა. ბაღის პრეზენტაციას პრეზიდენტთან ერთად, თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, პოლიტიკოსები ესწრებოდნენ.

როგორც პრეზენტაციაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, თბილისში უკვე მეხუთე პარკი გაიხსნა, სულ კი დაგეგმილია 20-მდე ბაღისა და სკვერის გახსნა.

ამგვარი ღონისძიებები თბილისს უფრო მიმზიდველსა და ლამაზს გახდის.

ინტერ-პრესი.

◎ ვითარება

პირველი ლედის ვიზიტი მშვიდობიანად დასრულდა

საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის გუშინდელი ვიზიტი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანად დასრულდა.

მდგომარეობა გუშინ მას შემდეგ გართულდა, რაც დიდი ლიახვის ხეობაში სტუმრობისას, საქართველოს პირველმა ლედიმ მოულოდნელად გადაწყვიტა, არა ვერტმფრენით, არამედ ავტოტრანსპორტით დაბრუნებულიყო გორში. ქართული დელეგაციის კორტეჟი ოსმა სამართალდამცველებმა ცხინვალი-თამარაშენის საავტომობილო გზაზე, ოსური მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დააკავეს. მოგვიანებით, ვითარების კიდევ უფრო დაძაბვის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მეუღლე ავტომანქანიდან გადავიდა და ოს სამართალდამცველებთან მოლაპარაკება სცადა. მოგვიანებით საქართველოს პირველმა ლედიმ მიიღო გადაწყვეტილება არა ცხინვალზე გავლით, არამედ კვლავ ვერტმფრენით დაბრუნებულიყო გორში, რაზეც ოსური მხარის თანხმობა მიიღო და სოფელ აჩაბეთიდან ვერტმფრენით გორში დაბრუნდა.

შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელიც დღეს თბილისში უნდა გამართულიყო, საქართველოს დედაქალაქში აღარ შედგება. ოსური მხარის განცხადებით, დღეს, ადგილობრივი დროით 12 საათისთვის ცხინვალში გაიმართება შეხვედრა, რომელსაც შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომის სტატუსი არ ექნება. დახურულ კარს მიღმა დაგეგმილ შეხვედრაზე ქართული, რუსული, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსური მხარეები ბოლო დღეებში კონფლიქტის ზონაში განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელებენ. პრესის წარმომადგენლებს შეხვედრის გაშუქების საშუალება არ ექნებათ.

ინტერ-პრესი.

◎ ყოფა

გაზმომარაგება მთლიანად აღდგება

კომპანია „თბილგაზი“ დედაქალაქის გათიშულ უბნებში გაზმომარაგების თანმიმდევრულ აღდგენას იწყებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნოდარ გობიანიძემ განაცხადა, დღეიდან გაზმომარაგების აღდგენა დაიწყება ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ნუცუბიძის ფერდობზე და ეს პროცესი ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ამასთან, გაზის მიწოდება აღუდგება მხოლოდ იმ კორპუსებს, რომელთა დავალიანებაც 1000 ლარს არ აღემატება.

გობიანიძის მონაცემებით, 543 კორპუსიდან გაზმომარაგება არ აღუდგება 123 კორპუსს. მისივე თქმით, 7 ივნისიდან გაზმომარაგება აღუდგება დიღმის მასივს, 14 ივნისიდან – გლდანის, ხოლო 21 ივნისიდან – ვაზისუბნისა და ვარკეთილის დასახლებებს. „თბილგაზში“ ვარაუდობენ, რომ ივნისის ბოლომდე ბუნებრივი გაზის მიწოდება მთლიანად აღდგება ყველა გადამხდელ კორპუსში.

ბოლო 3 თვის განმავლობაში „თბილგაზის“ მიმართ მოსახლეობის დავალიანებამ 4 მლნ ლარი შეადგინა.

ინტერ-პრესი.



◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ჩემი მეუღლე დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, ვარ ინვალიდი, პენსიონერი. ვიღებ მარჩენალის პენსიას თვეში 18 ლარის ოდენობით.

გთხოვთ მაცნობოთ მეკუთვნის თუ არა პენსია გაზრდილი ოდენობით (45 ლარი) და ვსარგებლობ თუ არა მიწის გადასახადის გადახდის დროს რაიმე შეღავათი?

ელენე წულაძე.

– მოქმედი კანონის თანახმად, პენსია გაზრდილი ოდენობით (45 ლარი) ენიშნებათ მხოლოდ ომის ინვალიდებს და მათთან გათანაბრებულ პირებს (70 წელს გადაცილებულ ომის მონაწილეებს).

ომში დაღუპულ მეომართა ქვრივებს პენსია განესაზღვრებათ თვეში 18 ლარის ოდენობით, რომელიც თქვენ სწორად გაქვთ დანიშნული.

აქვე გაცნობებთ, რომ საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის შესაბამისად მიწის გადასახადისაგან გათავისუფლებული არიან მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები. მათი ქვრივებისათვის აღნიშნული გადასახადის გადახდის დროს რაიმე შეღავათი, სამწუხაროდ, კანონით გათვალისწინებული არ არის.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

◎ ინფორმაცია

დიდი სიკეთე პატარებისთვის

იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გუშინ გადაუდებელი დახმარების მიმღები განყოფილება გაიხსნა. ახალი განყოფილების გახსნას საქართველოს პრეზიდენტი, ჯანდაცვის მინისტრი, ქალაქის მერი, პრემიერი და პარლამენტარები დაესწრნენ.

როგორც პრეზენტაციაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ავადმყოფთა რაოდენობა, პაციენტებს საავადმყოფოში მკურნალობისათვის საჭირო თანხა არ აქვთ, ეს კლინიკა კი საშუალებას მისცემს მოსახლეობას, უფასოდ ჩაიტაროს გადაუდებელი ოპერაციები.

პრეზიდენტმა ჯანდაცვის სამინისტროს მოუწოდა, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის შენარჩუნებაზე იმთავითვე იზრუნოს, რადგან „როდესაც მოსახლეობას ექიმთან მისვლა შეეძლება, იქნებ, ქვეყანაში კვალიფიციური ექიმი აღარ იყოს“.

ახალი განყოფილების შექმნის მთავარი დამფინანსებლები არიან ტელეკომპანია „რუსთავი-2“, ამერიკის განვითარების სააგენტო, ამერიკის ჯანდაცვის კავშირი, კომპანია „ჯეოსელი“ და სხვა უცხოური კომპანიები.

ახლადგახსნილი განყოფილების შექმნაში თავისი წვლილი სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმაც შეიტანეს, რომლებმაც შენობის პირველი სართული მოხატეს.

როგორც ინტერ-პრესს პროექტის ერთ-ერთმა დამფინანსებელმა ეროსი კიწმარიშვილმა განუცხადა, განყოფილებაში სპეციალური ფონდი შეიქმნა, რომელიც იზრუნებს საავადმყოფოს განვითარებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, მენეჯმენტზე და ხელფასებით უზრუნველყოფაზე.

მისივე თქმით, ფონდში შესულ თანხებს მზრუნველთა საბჭო გააკონტროლებს და მათი ხარჯვა გამჭვირვალე იქნება.

ბავშვები... უნივერსიტეტში

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სპეციალურად გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში ღონისძიება გაიმართა.

გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთათვის სხვადასხვა სახის სპორტული და გასართობი ღონისძიება მოეწყო, რომელშიც 40-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებული ბავშვები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიების გამართვის ინიციატივა უნივერსიტეტში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტურ ლიგას“ ეკუთვნის.

„ნუ გავრიყავთ“

ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში გუშინ ახალგაზრდულმა შემოქმედებითმა სალონმა საქველმოქმედო აქცია „ნუ გავრიყავთ“ გამართა. აქციიდან შემოსული თანხა ატენის უპატრონო ბავშვთა სკოლა-ინტერნატს გადაეცემა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ აქციაზე ძირითადად წიგნები იყო წარმოდგენილი, რომლებიც ორგანიზატორებს გამომცემლობებმა „ბაკურ სულაკაურის ბიოგრაფიულმა ცენტრმა“ და „მერანმა“ მოაწოდეს. წარმოდგენილი იყო ასევე ხელნაკეთი ჩანთები, სურათები და სხვა ნივთები.

ეს ახალგაზრდული შემოქმედებითი სალონის რიგით მე-5 საქველმოქმედო აქციაა.

ინტერ-პრესი.

შპს „მაგთიკომი“ MAGTICOM Ltd

შპს „მაგთიკომი“ თავის საქმიანობაში იცავს აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას კომპანიის მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2004 წლის მაისში შპს „მაგთიკომის“ ამ წვლილმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეადგინა 9,355,348.17 ლარი.

2004 წლის ხუთ თვეში საქართველოს ეკონომიკაში მაგთიკომმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეიტანა 36,775,684 ლარი, ხოლო კომპანიის არსებობის 8 წლის განმავლობაში (აგრეთვე ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) – 176,612,277 ლარი.

	2004 წლის მაისი	2004 წლის 5 თვის განმავლობაში
[illegible] 10%	11,090.31	2,667,143.44
დღგ [illegible] [illegible] [illegible] [illegible]	2,321,191.00 6,000,000.00 118,525.65 340,000.00 3,066.50	11,094,188.60 14,530,000.00 3,030,079.77 1,050,000.00 15,651.46
[illegible]		344,954.12
[illegible]		983,183.00
[illegible]	204,200.00	1,115,400.00
[illegible]	211,622.05 1,413.33	965,810.63 34,334.21 113,543.00
[illegible]	323.22	25,725.30
[illegible]	143,716.11	805,670.75
სულ:	9,355,348.17 ლარი	36,775,684.28 ლარი

შპს „მაგთიკომში“ დასაქმებულია 416 თანამშრომელი.

შპს „მაგთიკომი“ მუშაობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ის) მიხედვით.

პატივისცემით,

დევიდ ლი,
გენერალური დირექტორი.

დაზუსტება: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ანალოგიური განცხადების მე-3 აბზაცის ბოლოს რიცხვი – **204,032,813** უნდა იკითხებოდეს ასე: **176,612,477**).

ინტერპანორამა

კანცლერ შრედერის გადაწყვეტილებით, გერმანია მხარს უჭერს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ერაყის თაობაზე. პრეზიდენტ ბუშთან სატელეფონო საუბრისას შრედერმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ აპირებს ერაყში თავისი ჯარების გაგზავნას.



მას შემდეგ, რაც ღაზი ალ-იავარა ერაყის პრეზიდენტად დანიშნეს, „მწვანე ზონაში“ აფეთქებათა სერია – რვა ტერაქტი მოხდა. დაიღუპა 36 ადამიანი, 46 კი დაიჭრა. ზოგიერთი მონაცემებით, ტერორისტები უტევდნენ ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა მოეკლათ ამ უწყების თავკაცი ხოშიარ ზიმბარი.



დაბადებიდან 115 წლისთავის შესრულებამდე მხოლოდ სამი თვე დააკლდა რამონა ტრინიდად იგლესიას ხორდანს. პლანეტის ეს უდღეგრძელესი მანდილოსანი უშვილძირო იყო და ძალიან წყნარი ცხოვრების წესის მიმდევარი გახლდათ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 124. ოთხშაბათი, 2 ივნისი, 2004 წელი

◉ პრეზიდენტი

საქართველო არის სახელმწიფო, მას აქვს თავისი სახელმწიფო ინტერესები, ეკონომიკური სისტემა და ჩვენ მათ ბოლომდე დავიცავთ

(პირველი გვერდიდან)

ფაქტია, რომ ჩვენ უკან არ ვიხევთ და ჩვენი ხალხის, ჩვენი პენსიონერების, ჩვენი საზოგადოებისა და ჩვენი არმიის ფულს ვძალავთ ამ კონტრაბანდისტებსა და იმათ, ვისაც ხელს არ აძლევს, რომ სახელმწიფოს ხაზინა შეივსოს.

დიდი ხანია, რაც ცხინვალის რეგიონი, ეს ტერიტორია საქართველოში კონტრაბანდის მთავარი წყაროა. ამით დაინტერესებული იყო როგორც შევარდნაძის მთავრობა, ისე ადგილობრივი ხელისუფლება, რომლებიც ერთად იყვნენ დაკავებული ამ საკითხებით. როცა იქ ოქრუაშვილი მივიდა რწმუნებულად, გადადგა ნაბიჯები, ააფეთქა გზები, განახორციელა სხვა ღონისძიებანი. მაგრამ მთავარი ხაზი მაინც დარჩა, რადგან ტრანსპორტი მოძრაობს. პოლიციაც, ვინც მანამდე იქ იყო, მშვენივრად ითბობდა ხელს ყველაფერ ამაზე. ჩვენ მოგვიხდა, პირდაპირ რომ ვთქვათ, პოლიციაში მომსახურე ჩვენი პარტიის აქტივისტების დაყენება, იმათი, ვისაც უნდა, რომ ქვეყანა რაღაცას დაამსგავსოს და ბოლო რამდენიმე დღე სამხრეთ ოსეთიდან კონტრაბანდა მთლიანად გადაკეტეს. ბუნებრივია, ეს არ მოეწონა იქაურ ადგილობრივ კლანს, რომელიც ფულს ამით შოულობს. კაცმა რომ თქვას, სხვაგვარად იქ რით უნდა იშოვოს ფული? ხალხი, მოსახლეობა გაუბედურებულია.

გუშინ საღამოს რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდალმა განაცხადა, რომ ისინი აპირებდნენ ძალით აეღოთ ჩვენს მიერ დაყენებული პოლიციის ბლოკპოსტები. გუშინვე მე დავავალე გუბერნატორს, რათა დაუყოვნებლივ შეხვედროდა ამ გენერალს და მასთან ურთიერთობა გაერკვია. გენერალმა უარი თქვა შეხვედრაზე. დღეს დილიდან რამდენჯერმე ვთხოვეთ შეხვედრა, მაგრამ კვლავ უარი განაცხადეს. უფრო მეტიც: დილას ცხინვალში გამართულ თათბირზე მან თქვა, რომ აი, თუ სადილამდე წავლენ ხომ კარგი, თუ არადა ძალის გამოყენებით ავიღებთ ქართველების ბლოკპოსტებსო.

როცა ასეთი სიტუაცია შეიქმნა, ბუნებრივია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება — იქ გადასვა სპეციალური შენაერთები და განაცხადა, რომ თუ ვინმე აპირებს ძალის გამოყენებას, ამას არ დაუშვებდა. ჩვენ არანაირი სურვილი არ გვქონდა, რომ რაიმე შეტაკება მომხდარიყო. არც იმის სურვილი არა გვაქვს, რომ ვინმემ საქართველო გაურკვეველ ტერიტორიად განიხილოს, სადაც ვისაც რა უნდა, რომელიმე ნებისმიერ გენერალს რაც უნდა, იმას ჩაიდენენ. ასეთი სიტუაცია დამთავრდა.

საქართველო არის სახელმწიფო, მას აქვს თავისი სახელმწიფო ინტერესები, საზღვრები, ეკონომიკური სისტემა და ჩვენ მათ ბოლომდე დავიცავთ.

ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ ჩვენ რუსეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. რუსეთთან ძალიან კარგად შეიძლება პოზიტიური ტენდენციების გაგრძელება. სხვათა შორის, დღეს ჩვენ გვქონდა საუბარი რუსეთის პრეზიდენტთან პუტინთან. ჩვენ ვთანამშრომლობთ მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის, ტერორიზმთან ბრძოლაში, ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში.

დღევანდელ სიტუაციას მე განვიხილავ როგორც ადგილობრივი სამხედროების თავგასულ თვითშემოქმედებას. მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღეთ გარანტიები, რომ ისინი ხელს აღარ დააკარებენ ჩვენს ბლოკპოსტებს, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ძირითადი რაზმები იქიდან გამოგვეყვანა და თბილისში დაგვებრუნებინა. ამავე დროს, ჩვენი კვოტა მთლიანად გამოვიყენეთ: ნაცვლად იმ 90 გაძვალტყავებული ჯარისკაცისა, რომელთაც არც ხელფასს უხდიდნენ და არც იარაღი ჰქონდათ, ჩვენ იქ 500-მდე ჯარისკაცი გვეყოლება. რა თქმა უნდა, ჩვენი კვოტის ფარგლებში ჩვენ შევავსებთ მძიმე ტექნიკას. მაგრამ ამას გავაკეთებთ მხოლოდ იმისათვის, რომ მშვიდობა დავიცვათ.

ჩვენ არ ვაპირებთ არავისზე თავდასხმას, რაიმე საბრძოლო მოქმედებათა განხორციელებას. უფრო მეტიც: მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მზად გვაქვს წინადადებები ჩვენი ოსი თანამოქალაქეებისადმი, თუ მათ გაიზიარებენ, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისადმი. ჩვენ მზად ვართ დაუყოვნებლივ გავხსნათ ცხინვალში რკინიგზა, რომელზეც მიმოსვლა 12 წლის წინათ შეწყდა და რომელზეც აყრილია რელსები. მე მზად ვარ მივცე დავალება და ვაძლევ კიდეც დავალებას, რომ ერთ კვირაში აღდგეს სარკინიგზო მიმოსვლა დანარჩენ საქართველოსა და ცხინვალს შორის.

ჩვენი ოსი თანამოქალაქეები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, საქართველოს დანარჩენ მცხოვრებლებთან ერთად ქმნიდნენ ჩვენი ერის ისტორიას. დღეს ისინი იმ მდგომარეობაში არიან, რომ სრულიად დაუმსახურებლად ვერ იღებენ პენსიას, რომელიც, როგორც საქართველოს მცხოვრებლებს, მათ ეკუთვნით. მათი ერთი ნაწილი იღებს რუსულ პენსიას. მინდა ვთქვა, რომ ეს ხელს არ გვიშლის: ისინი, ვინც არ იღებს პენსიას და ისინი, ვინც რუსულ პენსიას იღებს, დამატებით მიიღებენ ქართულ პენსიას. ყველა ოსი, რომელიც სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს, ქართული სახელმწიფოსაგან მიიღებს მათს კუთვნილ პენსიას. ეს დავალება უკვე გაცემულია და ივნისის ჩათვლით დაიწყება პენსიის გაცემა. ჩვენ ამ სისტემას უახლოეს კვირეებში ავაწყობთ. ჩვენ მზად ვართ დაუყოვნებლივ მთელ ტერიტორიაზე, ქართველებსაც და ოსებსაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საწარმოებლად უფასოდ მივცეთ სასუქები, ისევე, როგორც ეს გავაკეთეთ აჭარაში. მე უკვე გავეცი განკარგულება, სასუქები მზადდება. უახლოეს დღეებში ჩვენ მათ შევიტანთ სამხრეთ ოსეთში და დავურიგებთ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებსაც და ოსებსაც.

ჩვენ ასევე მზად ვართ ვითანამშრომლოთ სამართლიანობის აღდგენის საკითხში. დიდი უბედურება მოიტანა იქ მომხდარმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა, ძალიან დაიჩაგრნენ ქართველებიც და ოსებიც.

არასოდეს დამავიწყდება 1992 წელი, მაშინ მე ეუთოს მისიასთან ერთად ვიყავი ცხინვალში, როდესაც კეხვში, ოსი ეროვნების ქალები და ბავშვები, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთში მიდიოდნენ, არაკაცებმა, სხვას სახელს მათ მართლა ვერ უწოდებ, დახვრიტეს, პრაქტიკულად, დაცხრილეს ისინი. არასოდეს დამავიწყდება პატარა ოსი გოგონა, რომელსაც თვალწინ დაუხვრიტეს ბებია და ბაბუა. ახლა გამოჩნდა კეხვის მაშინდელ ტრაგედიასთან დაკავშირებული ახალი გარემოებები. მე გენერალურ პროკურორს მივეცი დავალება, რომ ბოლომდე გამოიძიოს ეს საქმე და ვინც უნდა იყოს დამნაშავე, პასუხი აგოს (არ ვიცი, ცოცხალია იგი თუ არა), სიმართლე მაინც უნდა გაირკვეს. ამავე დროს, საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმმა ჯავის ტერიტორიაზე დააკავა ცნობილი ბოევიკი მარეკ დუდაევი, ყაჩაღი, რომელსაც ძალიან ბევრი ქართველისა და ოსის სისხლით აქვს გათხვრილი ხელები. იგი ახლა იმყოფება თბილისის საგამოძიებო იზოლატორში და, რა თქმა უნდა, ასევე აგებს პასუხს. საქართველოს ამ ტერიტორიაზე არაფერი ესაქმებათ ბანდიტებს, ყაჩაღებს, რომელთაც ჩვენ არ შევავიწროვებინებთ არც ოსებსა და არც ქართველებს, ყველას — ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ჩვენ დავიცავთ.

დაწყებული ხვალინდელი დღიდან გორის ტელევიზიით, და მე ვაძლევ დავალებას საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს, უახლოეს ერთ კვირაში ვიწყებთ ოსური გადაცემების გაშვებას საქართველოს ტელეარხებზე. ჩვენ მზად ვართ საქართველოს პოლიტიკური ამბები „მოამბემ“ თარგმნოს ოსურად და ყოველდღე ჩვენმა ოსმა თანამოქალაქეებმა ეს გადაცემები თავიანთ მშობლიურ ენაზე მოისმინონ.

და, რა თქმა უნდა, ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის, რათა განისაზღვროს ჩვენი თანამოქალაქეების სახელმწიფო სტატუსი, შეექმნათ მათ დაცვის გარანტიები. მე ეს ერთხელ უკვე ვთქვი და ხელახლა ვიმეორებ ამას: ჩვენ თქვენთან გასაყოფი არაფერი არა გვაქვს, მე თქვენ ყველანი ძალიან მიყვარხართ, ყველა ოსი და, რა თქმა უნდა, ყველა ქართველი, რუსი, ყველა სხვა, რომელიც ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს. მე მინდა, რომ ჩვენ გავარკვიოთ სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხი, მაგრამ, ამავე დროს, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ის განცხადებები, რომ დიალოგი არ შედგება, საქართველოში აღარ გავა. არ შედგება საქართველოს დაშლა, დამთავრდა საქართველოს დაქუცმაცება. მე ამ კაბინეტში იმისთვის არ ვზივარ, რომ ამას მშვიდად ვუყურო, რომ თბილისიდან საათნახევრის დაშორების მანძილზე ხდება უკანონობა და განუკითხაობა.

ჩვენ ყველამ ერთად (მე მინდა ვთხოვო ჩვენს ოს თანამოქალაქეებს) ვაიძულოთ ყველა მხარე იმისათვის, რომ გავმართოთ დიალოგი, რომ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლება ამ ინტერესების დამცველია და ბოლომდე ვიბრძოლებთ მათს დასაცავად.

მეორე საკითხი: ესეც უკავშირდება რუსეთთან ჩვენს ურთიერთობას — ეს არის რუს და ქართველ ბიზნესმენთა კონფერენცია. არც ერთ ქვეყანაში არ ჩასულა რუსეთის ბიზნესმენთა ასეთი დიდი ჯგუფი, თუმცა უკვე გაისმა ხმები, რატომ შემოდიან რუსებიო. მინდა გითხრათ, რომ, ჯერ ერთი, სამწუხაროდ, ისინი არსად არ შემოდიან. საქართველო არ არის სტაბილურობისა და კორუფციასთან ბრძოლის იმ დონეზე, რომ შევძლოთ ასეთი ფართომასშტაბიანი ინვესტორების ჩამოყვანა. მაგრამ ჩვენ მივდივართ ამ გზაზე და წინ მივიწევთ. რუს ბიზნესმენთა რიგებში ბევრი ქართველი იყო, მაგალითად, კახა ბენდუქიძე და მე მიმაჩნია, რომ იგი საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული პატრიოტია.

ივლისის დამდეგს ბათუმში ჩამოდის თურქეთის დიდი ბიზნესდელეგაცია, რომელიც შეისწავლის საქართველოს ბიზნესპერსპექტივებს. დავოსის ფორუმის ფარგლებში, სექტემბერში საქართველოს ეწვევა ამერიკელებისა და ევროპელების დიდი, რუსეთის დელეგაციაზე უფრო წარმომადგენლობითი საერთაშორისო დელეგაცია. მე ამის თაობაზე მოლაპარაკებული ვარ. ამავე დროს საქართველოს პრეზიდენტთან იქმნება საერთაშორისო ინვესტორთა საბჭო, რომლის თავმჯდომარე არის გერმანიის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე კლაუს მანგოლდი. ისინი ცალკე მუშაობენ იმისათვის, რომ აქ ინვესტიციები მოიზიდონ. რა თქმა უნდა, კარგია, რომ აშენდება ახალი ქარხნები, ახალი სასტუმროები, არსებულ საწარმოებში მოხდება ფულის დაბანდება. ცხადია, ამისათვის ჩვენ კიდევ ბევრი მუშაობა გვჭირდება.

მაღალ ეშელონებში კორუფცია ჩვენ უკვე მოვსპეთ. მაგრამ, რა ხდება, მაგალითად, საქართველოს გზებზე? პირველ თვეებში საქართველოს საგზაო ინსპექცია დაფრთხა, ზრდილობიანად იქცეოდა და ხალხს ქრთამს აღარ ართმევდა. ახლა ისევ აიშვეს, მძღოლებს ფულს სძალავენ, იმის მიუხედავად, რომ მე მათ დავუნიშნე ხელფასი — მინიმალური 300 ლარი და არიან ისეთებიც, რომლებიც ყოველთვიურად, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე 400, 500, 600 ლარს იღებენ. სხვათა შორის, ადრე, როცა ისინი ქრთამს იღებდნენ, რიგითებს გაცილებით ნაკლები ფული რჩებოდათ. ახლა მათ უკვე ხელმძღვანელობა წილის მიტანას ნამდვილად არ სთხოვს. მე მინდა გავაფრთხილო საქართველოს ყველა საგზაო ინსპექტორი: ახლა იწყება საზაფხულო სეზონი, ხალხი კურორტებზე გასვლას იწყებს. ბევრ თქვენგანს ხელები ეფხანებმა, როდის გამოჩნდება ტრასაზე ხალხი, რომ ფული გამოსძალოს. მე გაძლევთ ვადას 15 ივნისამდე, თუ ამ დრომდე საქართველოს გზებზე, თბილისის, ბათუმის გზებზე და, საერთოდ, ტრასებზე საგზაო ინსპექცია არ მოიშლის ქრთამის აღებას და მკვეთრად არ გაუმჯობესდება კორუფციული სიტუაცია, ჩემი ბრძანებით უკლებლივ ყველა საგზაო ინსპექტორი გათავისუფლდება სამსახურიდან და ველარასოდეს იმუშავებს პოლიციის ორგანოებში.

იცით, რომ მე ჩემს სიტყვას შევასრულებ. 15 ივნისს ყველა თქვენგანი დათხოვილი იქნება. როგორც გინდათ, იმუშავეთ ერთმანეთთან, დაარწმუნეთ ერთმანეთი, როგორ უნდა იმუშაოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩებით მშივრები და ნამდვილად არ შემეცოდებით, რადგან მე ის ხალხი უფრო მეცოდება, ვისაც თქვენ აწვალებთ. თუ ეს ხელფასი არ გყოფნით, მაშინ ეს მეტისმეტია და მე აღარ ვაპირებ ნებისმიერი თქვენგანის მიმართ დანდობა გამოვიჩინო. შემდეგ ავიყვანთ ხალხს (აი, როგორც ახლა დავაყენეთ აქტივისტები გორთან), საქართველოში ბევრი წესიერი ადამიანია, რომელიც 300-400-500 ლარად იმუშავებს ისე, რომ სისხლი არ გამოწოვოს ისევ თავის თანამოქალაქეებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა. მე დღეს გადავეცი პასპორტები იმ ქართველებს, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ — ნოე ჟორდანიას შვილებს, ქეთევან ბაგრატიონს და მის შვილებს, ქალბატონ დოდონა კიზირიას. ჩვენ უნდა დავაბრუნოთ საქართველოში ჩვენი ქართველები, მათი კავშირურთიერთობა საქართველოსთან უნდა აღდგეს. ბევრი თქვენგანი ტელევიზიით უყურებს საქართველოს გადაცემებს და ეს გზავნილი მოვა. ჩვენ შევქმენით ინსტრუქცია და ყველა ქართველმა, ვინც საზღვარგარეთაა, რომელ ქვეყანაშიც უნდა იყოს, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, თუ იგი შესაბამისი განცხადებით მიმართავს საკონსულოს. განცხადების ფორმები შეგიძლიათ წერილობით მოითხოვოთ, სამთვიანი პროცედურა იქნება. ერთხელ უნდა გამოცხადდეთ საკონსულოში ქართული ენის ცოდნის შესამოწმებლად, რადგან ეს აუცილებელი კრიტერიუმია და შემდგომ სამ თვეში, საკონსულოში მეორედ მისვლისას თქვენ მიიღებთ საქართველოს პასპორტს.

ამავე დროს, მე მინდა მოგმართოთ თქვენ. ბევრმა მათგანმა ტელევიზიით ნახა ჩვენი შეიარაღებული ძალების აღლუმი. ჩვენ, ჩვენმა გენერლებმა, ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ბოლო ოთხ თვეში, სასწაული მოვახდინეთ. მაგრამ მომავალ აღლუმზე, მომავალ 26 მაისს საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა გაორმაგდეს. დღევანდელი არმია ჩვენი დაფინანსებითა და რაოდენობით არ არის იმ დონეზე, რომელიც საქართველოს სჭირდება თავისი პრობლემების გადასაწყვეტად. ჩვენ გვჭირდება მინიმუმ ერთი წელი, ოცდაოთხსაათიანი მუშაობა. ბევრი თქვენგანი, თითქმის ყველანი სახლში აგზავნით ფულს იმისათვის, რომ თქვენი ნათესავები შეინახოთ. ჩვენ ვქმნით საერთაშორისო ფონდს. მე მინდა გთხოვოთ, რომ თუნდაც ხუთი პროცენტი იმ თანხისა, რომელსაც სამშობლოში აგზავნით, მისცეთ ამ ფონდს — აი, 200 ლარიდან 10 ლარი და მე თქვენ გპირდებით, რომ ერთ წელიწადში საქართველოს არმია გაორმაგდება და ჩვენ გვექნება ბევრად სხვა მოლაპარაკება და ბევრად სხვა სახელმწიფოებრივი პოზიციები. მეტიც: გამოგიგზავნით ბიულეტენებს, თუ თქვენი ფულით რა შეკეთდა, თუ ვიყიდეთ ტანკი, ვერტმფრენი, თუ ხელფასი მოვუმატეთ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ამის გაკეთების პირობებში ჩვენ შევძლებთ, რომ თქვენც კმაყოფილი იყოთ. სხვათა შორის, გამოჩნდა ხალხი, ვინც მზად არის და უკვე წამოვიდა ფული, ლაპარაკია ასიათასობით დოლარზე, მაგრამ ჩვენ გვჭირდება მილიონები იმისათვის, რომ არმია რაღაცას დაემსგავსოს.

აი, ეს არის ძირითადად, რაც უნდა მეთქვა.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

◉ კანონმდებლები

მიღებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები

(პირველი გვერდიდან)

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ - 101 ხმით, ერთხმად; „ემიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - 101 ხმით, ერთხმად; „იმიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - 100 ხმით, ერთხმად; „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე - 101 ხმით, ერთხმად; „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ - 103 ხმით, ერთხმად; „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - 101 ხმით, ერთხმად.

პარლამენტმა კვორუმის - 118 ხმის უქონლობის გამო, კენჭისყრაზე არ დააყენა „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონპროექტთან ერთად მისაღებ პაკეტში შემავალი ორი პროექტი: საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

დეპუტატებმა ამავე სხდომაზე კანონპროექტი „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 107 ხმით, I მოსმენით, ერთხმად მიიღეს. ასევე, I მოსმენით განიხილეს და 109 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღეს აღნიშნული კანონპროექტიდან გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტი:„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 104 ხმით ერთის წინააღმდეგ.

საქართველოს პარლამენტმა მოისმინა ინფორმაცია „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“, რომელიც ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა წარმოადგინა და კონტროლის პალატის მოხსენება „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“. პარლამენტის წევრებმა ამ ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე დადგენილება მიიღეს.

სხდომის დასასრულს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ პარლამენტის კომიტეტებში სათანადო განხილვის შემდეგ, პარლამენტს „თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების შესახებ“ კანონპროექტსა და მისგან გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტს წარუდგენენ.

ამით, 1 ივნისის პლენარული სხდომა დასრულდა. სხდომა ხუთშაბათს, 3 ივნისს, 11. საათზე განახლდება.

პარლამენტის პრესსამსახური.

◉ რეგიონი

სიჯიუტე პრობლემას ვერ გადაწყვეტს

ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი კომისია, რომელიც ძველი მოწვევის პარლამენტის დროს მუშაობდა, ამჟამად აღარ არსებობს. ფაქტობრივად, ცხინვალიდან დევნილებს არავითარი სამთავრობო სტრუქტურა აღარ გააჩნიათ. სხვა საქმეა, ის კომისია აკეთებდა რამეს თუ არა.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი კომისიის აღდგენის საკითხზე ესაუბრა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, რომელიც დათანხმდა კომისიის აღდგენას, ოღონდ, შესაძლებელია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხები გააერთიანონ და ერთი საპარლამენტო კომისია შეიქმნას, თანაც, ეს საკითხი იქნებ ამ სასესიო კვირაშიც კი გადაწყდეს.

საქართველოს ძალოვანების განლაგებამ ცხინვალთან მიმდებარე ქართულ სოფლებში, კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით, ერთგვარად დაძაბა სიტუაცია ქართულ და ოსურ მხარეებს შორის. ამის შესახებ გვესაუბრება დიდი და მცირე ლიახვის ხეობების დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი.

— ოსური მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება ეკონომიკურ ბლოკადაში აქცევს მათ. ამიტომაც უარყოფითად აფასებენ საქართველოს ძალოვნების ქმედებას კონტრაბანდის აღსაკვეთად. მე კი მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ასე არ არის. ახალმა ხელისუფლებამ რევოლუციის შემდეგ კონტრაბანდას ძლიერად შეუტია. ეს ბლოკ-საგუშაგოები კი წლებია, რაც არსებობს და არ ვიცი, რაღა გუშინწინ გამახვილდა ამაზე ყურადღება!

ოსი ხალხის დიდი ნაწილი როკის გვირაბიდან შემოსული ტვირთების რეალიზაციით არსებობს. ამიტომ გასაგებია მათი უკმაყოფილება. რაც შეეხება ქართულ მოსახლეობას, მე მაშინვე წავედი პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში და სიმართლე გითხრათ, ასე გამოცოცხლებული იქაურები ამ ათი წლის განმავლობაში არ მინახავს. ვნახე ტყვიავის ბლოკ-საგუშაგოებთან ქართველი ძალოვნები, მინისტრები. ხალხი ამბობდა, რომ ბოლოს და ბოლოს, პატრონი გამოგვიჩნდა და იქნებ ჩვენი საქმეც გადაწყდესო. თოთხმეტი წელია, რაც ცხინვალიდან დევნილები არიან და თოთხმეტი წელიწადია, იქაური მოსახლეობა გაურკვევლობაშია. ამდენი მინისტრის დანახვამ და შინაგანი ჯარის შეყვანამ იმედი ჩაუსახა მათ. თუმცა, სისხლისღვრა აღარავის უნდა — არც რიგით ოსს და არც რიგით ქართველს.

— გუშინწინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის ოსურ მხარესთან მოსალაპარაკებლად. საუბარი იყო რკინიგზის აღდგენაზე, პენსიების გაცემაზე, სხვა დახმარებებზე...

— მიხეილ სააკაშვილის ეს სიტყვა საპროგრამოდ შეიძლება ჩაითვალოს ოსებთან ურთიერთობაში, თუ როგორ უნდა მოვეპყრათ იგივე ჩვენს მოქალაქეებს, მათი ეროვნების მიუხედავად, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. ვინც არ უნდა იყოს, გუბერნატორი თუ ხელისუფლების სხვა, ნებისმიერი წარმომადგენელი, როგორც ქართველს დაეხმარება, ისე უნდა დაეხმაროს ოსსაც. პენსია იქნება, სასუქებით მომარაგება თუ სხვა.

მე პირადად, ძალიან მომეწონა პრეზიდენტის ეს განცხადება.

— როგორც დეპუტატს, როგორ გესახებათ პრობლემის მოგვარების გზა?

— პრობლემა მოლაპარაკების მაგიდასთან, მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს. გაჯიუტება არავის არგებს. ყველამ რაღაც უნდა დავთმოთ. უნდა დათმონ ოსებმაც და კომპრომისზე უნდა წავიდეთ ქართველებიც...

— როგორია საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია ოსურ-ქართული კონფლიქტის მოგვარების საქმეში?

— წლეულს, მაგალითად ცხინვალისა და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკის სარეაბილიტაციოდ 2,5 მლნ ევრო გამოყო ეუთომ. შარშან შორეული საკონტროლო კომისიის ოთხმხრივ შეხვედრას ვესწრებოდი და მაშინ ეუთომ პირდაპირ მიუთითა, რომ შექმნილიყო ქართულ-ოსური ჯგუფი, რათა აღერიცხათ და განებაჟებინათ ის აღურიცხავი ტვირთები, რაც როკის გვირაბიდან შემოდის და ნახევარი თანხებისა შესულიყო ოსების ბიუჯეტში, ნახევარი — ჩვენთან. მაგრამ მაშინ მხარეები ამაზე ვერ შეთანხმდნენ და ეუთომაც აღარ გამოყო დახმარება.

ახლა კი ვნახე ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც ეს 2,5 მლნ ევრო უკვე გამოყოფილია და განაწილებულია. აქედან 300 ათასი ევროა გამოყოფილი ადგილზე დარჩენილ ქართველ მოსახლეობაზე, დანარჩენი, თითქმის ორ მილიონ ევროზე მეტი გამოყოფილია ქალაქ ცხინვალში სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად.

მოლაპარაკებების თანახმად კი, ეს თანხა შუაზე უნდა გაყოფილიყო. მით უმეტეს, ეუთოს მკაცრი მოთხოვნა იყო, რომ 700 ათასი ევრო გამოყოფილიყო ზემოთ ნახსენები ერთობლივი კომისიის მუშაობისათვის. მაშინ რომ ეს პროგრამა განხორციელებულიყო, გუშინ ასეთი აჟიოტაჟი აღარ მოხდებოდა. სიმართლეს ვიტყვი, რომ ყოფილი ხელისუფლება ბევრს სცოდავდა ამ საქმეში, ახლა კი სულ სხვა დროა...

ესაუბრა
ლია ჭილაძე.

◉ პრესკონფერენცია

ფარულმა კამერამ 50 მექრთამე პოლიციელი დააფიქსირა

ეს ფართომასშტაბიანი შემოწმება თავად შს მინისტრის გიორგი ბარამიძის ინიციატივით განხორციელდა

გუშინ, 1 ივნისს შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ პრესკონფერენციაზე მიწვეულ ჟურნალისტებს უჩვენა ფრიად საინტერესო და ამავე დროს შემაშფოთებელი ვიდეომასალა, რომელიც პირდაპირ ეთერით ტელევიზიის რამდენიმე არხითაც გადაიცემოდა. ფარული კამერით გადაღებულ კადრებზე ცოცხლად იყო აღბეჭდილი საგზაო პოლიციაში არსებული დარღვევები და ის კონკრეტული პოლიციელები, რომლებიც დღისით-მზისით ქრთამს სძალავენ მძღოლებსა და ავტომანქანების მფლობელებს.

პრესკონფერენციაზე 3-საათიანი ვიდეომასალის მხოლოდ 13-წუთიანი ფრაგმენტი უჩვენეს. თუმცა ამ მონაკვეთშიც სრულად ჩანს საგზაო პოლიციის თანამშრომელთა მიერ ქრთამის გამოძალვის მრავალფეროვანი „ტექნოლოგია“. შს მინისტრმა განაცხადა, რომ სულ დაფიქსირებულია 50-ზე მეტი უღირსი თანამშრომლის სახე, ხმა და უკანონო ქმედება. მინისტრმა უკვე დაასახელა თხუთმეტზე მეტი პირი, დანარჩენთა იდენტიფიკაცია მოხდება მოკვლევის პროცესში. თითოეულ კანონდამრღვევ თანამშრომელს, როგორც მინიმუმი, ელის თანამდებობიდან გადაყენება, პოლიციის რიგებიდან დათხოვნა. გარდა ამისა, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სამართლებრივი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

ეს გლობალური შემოწმება, რომელმაც მოიცვა არა მარტო თბილისი, არამედ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ყველა განყოფილება და რეგიონები, განხორციელდა მინისტრის უშუალო ინიციატივით და ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ფართომასშტაბიან შემოწმებაში შსს გენერალური ინსპექციის გარდა, მინისტრის დავალებით, მონაწილეობდა შს სამინისტროს კიდევ ორი უფლებამოსილი სტრუქტურა.

საგზაო პოლიციის კადრებისადმი ასეთი პრინციპული მოთხოვნა და კონტროლი უშუალოდ ეხმიანება შს სამინისტროში მიმდინარე იმ რეფორმას, რომელმაც უნდა მოგვცეს თვისობრივი ცვლილებები თვით პოლიციელების ქცევაში, მათ მიერ თავიანთი უფლებამოსილების გამოყენებაში, რათა არ დაირღვეს კანონი და ადამიანის უფლებები.

პრესკონფერენციაზე მინისტრმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა საგზაო პოლიციის თანამშრომელთა ანაზღაურება. ვინც ნორმალურად მუშაობს, 400-500 ლარი ეძლევა თვეში, ხელფასის დანამატის ჩათვლით.

სამწუხაროდ, ფართომასშტაბიანმა „ვიდეოშემოწმებამ“ დააფიქსირა ისინიც, ვინც, მიუხედავად მაღალი ანაზღაურებისა, მაინც იღებს ქრთამს. თუმცა ვიდეოკამერამ ასევე დააფიქსირა კადრები, როცა მიუხედავად შეთავაზებისა, პოლიციელმა არ აიღო ქრთამი და მძღოლის მიერ ჩადენილ დარღვევაზე მოახდინა კანონით გათვალისწინებული რეაგირება.

გიორგი ბარამიძემ ისაუბრა საგზაო პოლიციაში მოსალოდნელ ცვილებებზე. კერძოდ საგზაო პოლიცი-

ის ყველა რეგიონული სამსახური უშუალოდ დაექვემდებარება საქართველოს შს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს, თბილისის საგზაო პოლიცია კი გადავა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დაქვემდებარებაში. 2005 წლის იანვრიდან თბილისში იქნება სრულიად გარდაქმნილი პოლიცია, როგორც სტრუქტურული თვალსაზრისით, ისე გამორჩეული გარეგნული იერსახითა და ქცევის კულტურით. მოხდება პოლიციელთა 3-თვიანი გადამზადება. მინისტრის დავალებით შემუშავდება მექანიზმი, რათა გამოირიცხოს საგზაო პოლიციელის ფულთან შეხება.

გიორგი ბარამიძემ დიდი მადლობა გადაუხადა ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს იმისათვის, რომ ისინი დაუფარავად ამხელენ პოლიციაში არსებულ ნაკლოვანებებს და ამით დიდ დახმარებას უწევენ შს ორგანოების რეფორმირებისა და საკადრო ცვლილებების პროცესს.

ვალერიან [illegible]

◉ ინფორმაცია

ვინ მოვა?

კონტროლის პალატა თავმჯდომარეს ელოდება

კონტროლის პალატის თავმჯდომარედ შესაძლოა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ზურაბ სოსელია დაინიშნოს. ამის შესახებ გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, სოსელიას კანდიდატურა მას პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ შესთავაზა. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ზურაბ სოსელია ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კონტროლის პალატის თავმჯდომარეობის ერთ-ერთ კანდიდატად ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ჯიბუტიც მოიაზრება.

კონტროლის პალატის ახალი თავმჯდომარის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტი პარასკევს განიხილავს და დაამტკიცებს.

აი, საქმე!

სპეციალური სავარძლები გადასცა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა 30 ინვალიდ ბავშვს სამინისტროში ინვალიდის სავარძლები გადასცა.

როგორც მინისტრმა შეხვედრაზე განაცხადა, ეს ღონისძიება ერთჯერადი ხასიათისა არ არის. „სამინისტრო ამიერიდან იზრუნებს, რათა საქართველოში მცხოვრები თითოეული ბავშვის ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა ყველანაირად იყოს უზრუნველყოფილი“, — აღნიშნა მან.

მინისტრის განცხადებით, სამინისტროს ძალისხმევით საქართველოში შემოტანილია კიდევ გარკვეული რაოდენობის სპეციალური ეტლები, რომლებიც უახლოეს მომავალში კიდევ 100 ბავშვს გადაეცემა.

სიხარული

საბავშვო რკინიგზა ამოქმედდა

მუშტაიდის ბაღში საბავშვო რკინიგზა ამოქმედდა. საბავშვო რკინიგზა გუშინ „საქრკინიგზის“ ახალმა შეფმა დავით ონოფრიშვილმა საზეიმო ვითარებაში გახსნა.

„რკინიგზელთა კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ბაღში კონცერტი გაიმართა, რომელშიც ქორეოგრაფიული ანსამბლები „ცისარტყელა“, „ნერგები“ და „თანამედროვე ცეკვები“ მონაწილეობდნენ.

ინტერ-პრესი.

სიტუაცია

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ...

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადება

სამინისტროს კანონიერმა მოთხოვნამ იმის თაობაზე, რომ საბუთების გამოცვლის დროს გამოცხადდეს ყველა სრულწლოვანი, დევნილთა საზოგადოების უკმაყოფილება და არაჯანსაღი აჟიოტაჟი გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ დაინტერესებულთ სურთ, ჩაშალონ ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება და ავრცელებენ ხმებს, თითქოს მინისტრის ბრძანებით შეჩერებულია საბუთების გამოცვლა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

პრეზიდენტის დავალებით, ჩვენ ვაწესრიგებთ დევნილთა აღრიცხვიანობას და ვაზუსტებთ იმ პირთა რაოდენობას, რომლებმაც სამკურნალოდ, ან ოჯახის რჩენის მიზნით დროებით დატოვეს საქართველო. დროებით გასულთა დიდი ნაწილი მიწერილია კომპაქტურად განსახლების ობიექტებში და მათთვის სახელმწიფო დამატებით იხდის ელექტროენერგიისა და კომუნალური მომსახურების თანხებს. ეს კი თითოეულ დევნილზე გაანგარიშებით ყოველთვიურად საშუალოდ 20 ლარის ტოლფასია და იმის საშუალებას გვაძლევს, რომ დევნილთა სასარგებლოდ ამ კუთხითაც გავაკეთოთ ეკონომია.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: ჩვენ არ ვუხსნით დროებით გასულთ სტატუსს. მათი ოჯახის წევრის მიერ შევსებულ განცხადებაში, რომელიც მომზადებულია სამინისტროს მიერ, ისინი დაფიქსირდებიან სიაში შემწეობის თანხების შენარჩუნებით და მათზე ჩამოსვლისთანავე გაიცემა დევნილის მოწმობა.

წინა წლებში იმ დევნილებს, ვინც ვერ ასწრებდა საბუთების გამოცვლას, უუქმდებოდა დევნილის სტატუსი გამოცხადებამდე, ხოლო ისინი, ვინც სამი თვის განმავლობაში ვერ იღებდნენ ფულს, სხვადასხვა მიზეზების გამო უკანონოდ კარგავდნენ 3 თვის შემწეობის თანხებს და ეს თანხები ბრუნდებოდა არა სახელმწიფო ხაზინაში, არამედ მათ ჯიბეში, ვინც წლების მანძილზე ითბობდა ხელს მკვდარი სულების არსებობითა და ამგვარი მაქინაციებით. რატომღაც, ასეთი უკანონობა არავის არ აღელვებდა, ვინაიდან ზარალდებოდა დევნილი და მისი ხმა იყო „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ზუსტად ისინი, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერნი, ცდილობენ სხვადასხვა ხრიკებით დროებით მაინც გაიგრძელონ არაკანონიერი მოღვაწეობა და დესტრუქციული ქმედებებით ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ დევნილი საზოგადოება.

მოვუწოდებთ დევნილებს, არ აყვნენ დეზინფორმატორებს. სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს მათი ინტერესების დასაცავად. დევნილებს არ დაეკარგებათ კუთვნილი არც ერთი თეთრი, ჩვენ, ხელისუფლებასთან ერთად ვიზრუნებთ შემწეობის თანხების გაზრდაზე იმ დანაზოგის მეშვეობით, რასაც მივიღებთ მკვდარი სულების სიიდან ამოღების, ელექტროენერგიისა და კომუნალური მომსახურებიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე.

ჩვენი პრიორიტეტებია:

– დევნილთა აღრიცხვიანობის სფეროში კორუფციის აღმოფხვრა, როგორც საქართველოში მყოფთა, ისე მის ფარგლებს გარეთ გასულთა ზუსტი ციფრის დადგენა;

– დევნილთა საცხოვრებელი ობიექტების რეაბილიტაცია, მათი დასაქმების პროექტების შემუშავება და ამ მიმართულებით დონორ ორგანიზაციებთან აქტიური მუშაობა;

– კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტში ელექტროსექტორში არსებული პრობლემების მოგვარება მრიცხველების განმხოლოებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით.

– უმწეოთათვის, ომის ინვალიდებისა და ვეტერანებისათვის ერთჯერადი დახმარების გაწევა;

– ჯანდაცვისა და სოციალური დაზღვევის ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება დევნილთათვის მკურნალობისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

რაც შეეხება დევნილობაში შეძენილ სიძეებსა და რძლებს, მათ, თავის დროზე, კანონის უხეში დარღვევით, სამინისტრომ დევნილის სტატუსი მიანიჭა. ამ ჰუმანურ ჟესტს მოჰყვა ფიქციური ქორწინებების ტალღა და ამ კატეგორიის „დევნილთა" რიცხვმა 6 ათასს გადააჭარბა.

დევნილთა კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ლტოლვილს დაოჯახების შემთხვევაში უნარჩუნდება დევნილის სტატუსი. თუ ერთ-ერთი მშობელი არ არის დევნილი, ბავშვს შეიძლება მიენიჭოს დევნილის სტატუსი მშობლების თანხმობის საფუძველზე.

დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, დევნილის სტატუსი ენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, კონფლიქტის ზონა იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნათ მათ და მათი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას შიდა კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო.

მოვუწოდებთ დევნილ საზოგადოებას, მხარში ამოუდგნენ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ჩვენს საკუთარ სახლებში დაბრუნებამდე ჩვენი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები დაცული იყოს.

ეთერ ასტემიროვა,
საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი.

კორუფციის წინააღმდეგ

ანტიკორუფციული პროექტი „განათლება კორუფციის გარეშე", ქუთაისში „ევრაზიის" ფონდისა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" მიერ ერთობლივად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა კოალიციამ განახორციელა, რომელშიც ხუთი ორგანიზაცია გაერთიანდა. ესენი იყვნენ: საქართველოს მოსწავლეთა თავისუფალი პროფკავშირი „სოლიდარობა", ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი, ჟურნალისტთა რეგიონული ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალი საზოგადოებაში" და ქუთაისის ადვოკატთა ასოციაცია". პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი გახლდათ საქართველოს მოსწავლეთა თავისუფალი პროფკავშირი „სოლიდარობა" და მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა განათლების სფეროში კორუფციის დონის შემცირება და გამჭვირვალობის ხელშეწყობა.

პროექტის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვისა და მათი სამართლებრივი კულტურის ამაღლების მიზნით შეიქმნა მშობელთა და მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ჩაუტარდათ სემინარები სასწავლო დაწესებულებების ბიუჯეტის შედგენის პრინციპებისა და მასზე კონტროლის დაწესების თაობაზე. საინიციატივო ჯგუფების ბაზაზე ჩამოყალიბდა მშობელთა და მოსწავლეთა ასოციაცია, რომელიც სასწავლო დაწესებულებების მონიტორინგში მონაწილეობდა.

ისწავლე... ფულის მხარჯველო

პროექტის განხორციელებისას ქუთაისში ჩატარდა ორმოცამდე სასწავლო დაწესებულების (მათი მთლიანი რიცხვის დაახლოებით ერთი მესამედის) მმართველობითი და ადმინისტრაციული ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმება. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად ეკონომისტებისა და იურისტების ჯგუფებმა სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს საფინანსო განყოფილებების მხრიდან სკოლების, ლიცეუმებისა და გიმნაზიების დაფინანსებაში. კერძოდ, თანხების განაწილებისას წააწყდნენ არაპროპორციულ გამოყოფასა და ათვისებას. თუ რა პრინციპით ხდებოდა ეს და რა „საფუძველი" ჰქონდა ყოველივეს, ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ არის.

მონიტორების ჯგუფებმა განახორციელეს ზედამხედველობა ქალაქის საგანმანათლებლო დაწესეულებებში შრომის კანონმდებლობისა და განათლების სისტემაში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტების შესრულებაზეც. საბოლოო ანგარიშით, გაიმართა შვიდი სასამართლო პროცესი, რომელთა შედეგადაც აღდგა პედაგოგთა დარღვეული უფლებები. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე, შრომის კანონმდებლობის სისტემატური დარღვევისათვის, დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქუთაისის მე-17 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი.

გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, 20 სასწავლო დაწესებულების დირექტორის მიმართ სარჩელი აღიძრა, რის შედეგად საჭირო საჯარო ინფორმაცია შეუფერხებლად გაიცა.

ამასთან ერთად, გამოვლინდა კორუფციის კონკრეტული ფაქტებიც, მაგალითად, ქუთაისის № 1 ექსპერიმენტულ და № 13 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რის შესახებ ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს მიაწოდეს. კერძოდ, მე-13 სკოლის დირექტორის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ყალბი ატესტაციის გამო, ხოლო № 1 ექსპერიმენტული სკოლის საქმესთან დაკავშირებით ამჟამად განმეორებით მიმდინარეობს მოკვლევა.

არაერთი დარღვევა გამოვლინდა ასევე ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განათლების სფეროს დაფინანსების საკითხის შესწავლის დროსაც. საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის, ასევე საფინანსო სამმართველოს მიერ საბიუჯეტო სახსრების არასათანადო კონტროლისა და დოკუმენტაციის გაყალბების ფაქტები დაადასტურა, აგრეთვე, უშიშროების სამინისტრომაც. გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქუთაისის მთავრობის საფინანსო სამმართველოს უფროსი.

ასევე დარღვევები დადგინდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად გამოყოფილი თანხების ხარჯვის მხრივაც. მოპოვებული მასალები შესასწავლად გადაეცა კონტროლის პალატას.

2004 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მოქალაქეთა აქტიური ჩართვის მიზნით პროექტის ფარგლებში მომუშავე ეკონომისტთა და იურისტთა ჯგუფებმა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლებისა და მშობლებისათვის საგანგებო სემინარები ჩაატარეს. შედეგად, წლევანდელი ბიუჯეტის პროექტის განხილვის შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, რის გამოც ბიუჯეტის პროექტი ქალაქის საკრებულოს ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნეს.

ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობისა და კორუფციის გამოვლენილი ფაქტების შესახებ მოსახლეობას რეგულარულად მიეწოდებოდა რადიო და სატელევიზიო გადაცემების, ასევე პრესის მეშვეობით. ამან ხალხიც გამოაცოცხლა და კორუფციაც შეამცირა.

ოთარ ტურაბელიძე.

ინფორმაცია

ნათლობა

ზვარაკი აღარ იქნება

ნინოობის დღესასწაულთან დაკავშირებით გუშინ ქედის რაიონის სოფელ ზვარეში მოქმედ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ნათლობის მასობრივი ღონისძიება გაიმართა. ქრისტიანობას დღეს 1009 ქედელი ეზიარა, მათგან ყველაზე უმცროსები 2 წლის ტყუპები, თამარ და ქეთი წერეთლები იყვნენ.

ნათლობის ცერემონია ღია ცის ქვეშ, მდინარე ზვარეში მოეწყო. ზვარეს ეკლესია ამ რაიონში ერთადერთია. იგი ერთი წლის წინ, 400 წლის წინანდელ ნატაძრალზე აშენდა. ხალხური გადმოცემის მიხედვით, 4 საუკუნის წინ ამ ტაძრიდან თურქებმა ხატი გზაზე გადმოასვენეს, ადგილობრივ მაცხოვრებლებს ხატზე ფეხის დადგმა და გამუსლიმანება მოსთხოვეს. მათ, ვინც მამაპაპეული სჯული არ უარყო, თურქებმა თავი მოჰკვეთეს და მდინარე ზვარეში გადააგდეს.

სარწმუნოებას ზვარაკად შეწირული ქართველების გამო ამ სოფელს ზვარე უწოდეს, ხოლო 400 წლის შემდეგ განახლებულ ტაძარს, – ზვარეს ეკლესია.

დღევანდელი ნათლობის ინიციატორი ზვარს ეკლესიის წინამძღვარი, მამა სერაფიმეა. მისი განცხადებით, ეკლესიას უკვე ძალიან დიდი მრევლი ჰყავს და საჭიროა, ქედაში მეორე ეკლესიის მშენებლობაზეც დაიწყოს ზრუნვა.

სტატუსი

„ჩვენ ცაიტნოტში ვართ"

„მრეწველების" წარმომადგენელი პარლამენტში გია ცაგარეიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან დაკავშირებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის უმოქმედობას აპროტესტებს და აცხადებს, რომ შექმნის დღიდან კომისია არც ერთხელ არ შეკრებილა.

„კანონმდებლობის მიხედვით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სახელმწიფო კომისიაში წინადადები და შენიშვნები უნდა შევიდეს, თუმცა მე კომისიის წევრი ვარ და ჯერ არც ერთხელ არ შევკრებილვართ", – აღნიშნავს ცაგარეიშვილი.

მისი თქმით, აჭარის სტატუსის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან სწორედ აჭარის სტატუსისა და მოდელის მიხედვით უნდა განისაზღვროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსიც, ამიტომაც „შეცდომების დაშვება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაუშვებელია".

„ჩვენ ცაიტნოში ვართ ჩავარდნილი, 20 დღე რჩება აჭარაში არჩევნებამდე, კომისიაში კი არც ერთი წინადადება არ განხილულა. აჭარის მოსახლეობამ არჩევნებამდე 20 დღით ადრე ჯერ კიდევ არ იცის, ვის და როგორ ირჩევს", – დასძინა მან.

ინფორმაციები მოგვაწოდა საინფორმაციო სააგენტო ინტერ-პრესმა.

ბავშვები

ჯერ მათ აფხაზეთი არ უნახავთ

საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, ბავშვთა დაცვის მორიგ საერთაშორისო დღეს საქართველოში დევნილობაში აფხაზეთიდან დევნილი 0-16 წლის ასაკის 63 307 ბავშვი შეხვდა.

აფხაზეთის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 1989 წლის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში სხვადასხვა ეროვნების 133 900 ბავშვი ცხოვრობდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 90-იან წლებში დაწყებული მიგრაციული პროცესების გააქტიურების გამო ამ მაჩვენებელმა 1991 წელს 130 500 შეადგინა.

აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 1993-2003 წლებში დევნილობაში 3 401 მოქალაქე გარდაიცვალა და 4 919 დაიბადა. კერძოდ, დევნილობაში დაიბადა და აფხაზეთი დღემდე არ უნახავს სოხუმელი მშობლების 1 297 შვილს, გაგრელების, – 337-ს, გალელების, – 1 362-ს, გულრიფშელების, – 701, ოჩამჩირელთა 559, გუდაუთელთა 106, ტყვარჩელელთა 111, სოხუმის რაიონის მკვიდრთა 457 ბავშვს.

როგორც „ინტერ-პრესს" საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროში და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, მათ ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემები შესაძლოა, დასაზუსტებელი იყოს, ვინაიდან დევნილთა აღრიცხვიანობისა და ბავშვთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის მხრივ არსებული მდგომარეობა ჯერჯერობით მოუწესრიგებელია.

ინტერ-პრესი.

სიცოცხლე გადარჩა

როცა „შინაურ მღვდელსაც" აქვს შენდობა...

უნიკალური ოპერაცია ღუდუშაურის ცენტრში

დიღმის მასივში წამომართულ ვარდისფერ შენობას – აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს – შემთხვევით არ უწოდებენ სიცოცხლისა და იმედის ცენტრს. ეს ევროპული დონის თანამედროვე დიზაინის, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, უმაღლესი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტებული სახელმწიფო კლინიკაა. არსებობის ერთი წლის განმავლობაში აქ ბევრი ახალი სამკურნალო და სადიაგნოსტიკო მეთოდი დაინერგა. ცენტრმა დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, რენტაბელობა, კონკურენტუნარიანობა და ისიც, რომ იგი მხოლოდ ჩვენი საზოგადოების ელიტარულ ნაწილს კი არა (როგორც ბევრი ვარაუდობდა), ყველა ფენას ემსახურება, განსაკუთრებით – სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

ცენტრი მძიმე შემთხვევების კოლექტორია. ეს IV დონის ერთადერთი უმაღლესი სამედიცინო მომსახურების კლინიკაა. კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის სამსახურს საქართველოს ყველა კუთხიდან, ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან აქ მოჰყავს ყველა პროფილის მძიმე კლინიკური დიაგნოზის მქონე პაციენტები. აქ ასობით ადამიანს შეუნარჩუნეს სიცოცხლე და განუმტკიცეს ჯანმრთელობა, უამრავი რისკის მქონე მშობიარე და ახალშობილი გადაარჩინეს. ცენტრის ყველა კლინიკასა და განყოფილებაში მუშაობა საათივით არის აწყობილი.

სულ ახლახან ქირურგიულ კლინიკაში კიდევ ერთი, ლამის განწირული ადამიანი გადაარჩინეს. ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მერაბ კილაძემ ურთულესი ოპერაცია წარმატებით გაუკეთა სოხუმიდან დევნილ 20 წლის ინგა სიჭინავას.

ეს ამბავი რომ შევიტყვეთ, ფინალი სრულიად ბუნებრივად მივიჩნიეთ, რადგანაც დასტაქარი მერაბ კილაძე იყო. მის შესახებ საქებარი სტატია რამდენჯერმე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. მათ შორის, ერთი პუბლიკაცია ჩემიც გახლდათ – 2001 წელს, საახალწლოდ უკვე აღიარებული დასტაქრისა და მეცნიერის მორიგი გამარჯვების შესახებ რომ მივახარე მკითხველს (იმხანად იგი ქირურგიის ეროვნული ცენტრის მეორე კლინიკას უძღვებოდა).



ახლა გოგონას შესახებ: ინგა სიჭინავას ტრაგიკული ბედი დაჰყვა. მას თანდაყოლილი ანომალია, ანუ განუვითარებელი საყლაპავი მილი ჰქონდა, თანაც ანომალიის ყველაზე იშვიათი და ცუდი ფორმით. მას დაბადებისთანავე დაეწყო მძიმე ფორმის ასპირაციული პნევმონია (ფილტვების ანთება). პირველი ოპერცია 3 დღისას გაუკეთდა, მეორე – 7 დღისას (ორივეჯერ – საქართველოში). 10 წლის განმავლობაში მან სანკტ-პეტერბურგში კიდევ 14 მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ყოველთვის სათუო იყო მისი გადარჩენა.

– რუსი კოლეგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავისსავე კლინიკაში პროფესორმა ბაიროვმა ეს „ოპერაციული მარათონი" სასიკეთოდ დაასრულა გოგონას მსხვილი ნაწლავის მარცხენა ნახევრიდან ხელოვნური საყლაპავის შექმნით. და ინგამ მხოლოდ 10 წლის ასაკიდან შეძლო საკვების ბუნებრივი გზით (პირიდან) მიღება. გავიდა 9 წელიწადი და კვლავ თავი იჩინა ძველმა პრობლემამ, ფილტვების ანთებამ, – თქვა ბატონმა მერაბ კილაძემ.

– ახლა რაღამ გამოიწვია ეს დაავადება? – ვეკითხები მას.

– პაციენტის ზრდა-განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია, გაიზარდა მსხვილი ნაწლავიც, რომელიც საყლაპავის ფუნქციას ასრულებდა. გაფართოვდა მისი გულმკერდის სეგმენტის შუა ნაწილი და ჩამოყალიბდა როგორც უფუნქციო ტომარა, რომელიც ზეწოლას ახდენდა ფილტვსა და გულზე. განსაკუთრებით ღამით, როდესაც გოგონას ეძინა, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნისას საყლაპავის გაგანიერებულ ნაწილში დაგროვილი საკვები და ნაწლავის შიგთავსი გადადიოდა სასუნთქ გზებში, რაც ასპირაციულ სინდრომს იწვევდა.

პაციენტი ცენტრში პირველად წლეულს 2 მარტს უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი (სუნთქვის გაძნელება და ფილტვების ანთება) მიიყვანეს, იქ მას გამოუთიშეს საყლაპავი მილი, გაუკეთეს დროებითი გასტროტომა (ხელოვნური კვებისათვის) და გაუწმინდეს სასუნთქი გზები. 7 დღეს რეანიმაციაში იწვა, შემდეგ გაწერეს და სათანადო დანიშნულება მისცეს, რომ ოპერაციამდე გამოჯანმრთელებულიყო.

როცა ოჯახის წევრებმა შეიტყვეს, რომ ოპერაცია გარდუვალი იყო, ისინი დასახმარებლად შეეხმიანენ სანკტ-პეტერბურგის კლინიკას, სადაც გოგონას 9 წლის წინათ გაუკეთდა ბოლო ოპერაცია. იქიდან უარი მიიღეს, ვინაიდან პროფესორი ბაიროვი გარდაცვლილა და მისმა კოლეგებმა პასუხისმგებლობა ვერ იკისრეს.

– შემდეგ რა მოხდა?

– რომ ნახოთ, ინგას როგორი ლამაზი, მეტყველი თვალები აქვს, წლობით განაწამები, ისე ვედრებით იყურებოდა, გადარჩენას ითხოვდა... ასეთ რთულ მდგომარეობაში არასდროს ვყოფილვარ.

როგორც შემდგომ საუბარში გაირკვა, მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე მსგავსი ფაქტი ყოფილა დაფიქსირებული (ინგლისი, იტალია, რუსეთი). უცხოელ კოლეგებთან კონსულტაციების შემდეგ მათი რჩევა და რეკომენდაცია იყო შემდეგი: ეს იშვიათი შემთხვევაა, ხოლო ოპერაციის სახე და მოცულობა უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად და არასტანდარტულად.

ასე აღმოჩნდა ქირურგი დილემის წინაშე.

უნებურად გამახსენდა 4 წლის წინანდელი შეკითხვა, ბატონ მერაბ კილაძეს რომ მივმართე: – როგორი უნდა იყოს ქირურგი-მეთქი.

– „ქირურგის პიროვნებაში შერწყმული უნდა იყოს მაღალი ზნეობა, კაცთმოყვარეობა, კოლეგიალობა, ერუდიცია, პროფესიის სიყვარული, უბადლო ტექნიკა, ინტუიცია და პირადი ადამიანური ხიბლი", – ასეთი იყო მისი პასუხი.

სწორედ ასეთია თავად პროფესორი მერაბ კილაძე. ამიტომაც შეძლო მან თითქმის შეუძლებელი. ოპერაცია 8 საათს გაგრძელდა. ქირურგმა შეძლო გულმკერდის ღრუში მსხვილი ნაწლავის შეხორცებებისგან გათიშვა-გამოყოფა და გაგანიერებული ტომრის ამოკვეთა. რის შემდგომ დარჩენილი ნაწილი გაჭიმა და ისე გაასწორა, რომ მან მიიღო ახალი საყლაპავის ფორმა და კონფიგურაცია.

როგორც შემდგომში ვნახეთ, პაციენტი თავს კარგად გრძნობს, მალე დაუბრუნდება სრულფასოვან ცხოვრებას და გაცილებით მაღალი იქნება მისი ცხოვრების ხარისხიც.

– მოსალოდნელია თუ არა საყლაპავი „მილის" გაზრდა და რეკონსტრუქციის საჭიროება?

– ლიტერატურაში მსგავსი რამ, – ამბობს ბატონი მერაბი, – აღწერილი არ არის. ვიმედოვნებ, რომ არც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისი, – იყო პასუხი.

სპეციალისტთა შეფასებით, ასეთი ტიპის ურთულესი და უნიკალური ოპერაციები ნამდვილად საამაყო და საპატიო იქნებოდა უცხოეთის ნებისმიერი წამყვანი კლინიკისთვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთან, განსაკუთრებით ბოლო წლებში, შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება „ადგილობრივი სპეციალისტებისადმი", თუმცა მათ სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ ვაფასებთ, კიდევ ვერ ვისწავლეთ „შინაური მღვდლის" შენდობა.

ბელა დურგლიშვილი.

P. S. **კლინიკაში იმ დროს მივედი, როცა ინგა სიჭინავა დედასა და ძმასთან ერთად შინ წასასვლელად ემზადებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იმდენი „ბრძოლის" გადამტანს, უკვე ჩაცმულ-დახურულს ასე ხალისიანს ვნახავდი. მოვიკითხე და კარგად ყოფნა მოვულოცე. დამშვიდობებას ვაპირებდი, რომ დედამისმა, ქალბატონმა მაგული ნაჭყებიამ შემაჩერა და მთხოვა, თუ შეიძლება წერილში ჩემი გულისთქმაც ჩაწერეთო.**

„– არც კი ვიცი სიტყვებით როგორ გამოვხატო დიდი მადლიერება იმ თანადგომისა და თანაგრძნობისათვის, რასაც ბატონ მერაბ კილაძისგან და, საერთოდ, ცენტრის თითქმის ყველა თანამშრომლისგან ვგრძნობდით – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარით ქალბატონ მარინა ღუდუშაურით დაწყებული (რომელიც ოპერაციასაც დაესწრო და რამდენჯერმე მოგვინახულა კიდეც), მიმღები განყოფილების გამგით გივი ჯიქიათი, ანესთეზიოლოგ კახა ნურალიძით, ქირურგებით ჰამლეტ ვასაძით, გია ლურსმანაშვილით, ნიკოლოზ ლომინაძით და სანიტრებით დამთავრებული.

მადლობას ვუძღვნი აგრეთვე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილეს ვახტანგ სურგულაძეს და აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს დალილა ხორავას სიკეთისა და თანაგრძნობისათვის და ყველას, ვინც ჩვენი გაჭირვება გულთან ახლოს მიიტანა".

ბ. დ.

პოზიცია

ჯერ გავარკვიოთ, ვინ რა დააშავა, და შემდეგ ვიფიქროთ პატიებაზე

ამ ცოტა ხნის წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრის გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელობის საზოგადოების გაფართოებული სხდომა გაიმართა. იგი ერისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ზნეობის საკითხებს მიეძღვნა, შეეცადა პასუხი გაეცა კითხვებზე, თუ რამ გამოიწვია ზნეობის დაცემა ერში, რატომ დაისადგურა უწესობამ პოლიტიკურ წრეებში და როგორ შეიძლება დავუბრუნოთ ერს დაკარგული ზნეობა?

გრიგოლ ლორთქიფანიძის მოწამეობრივი ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოს უზომო სიყვარულისა და მაღალი ზნეობის ნიმუშია და სრულ საფუძველს იძლევა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოსთვის ესოდენ მტკივნეული საკითხების განხილვისათვის.

ძირითადი მომხსენებელი სხდომაზე იყო ფსიქოლოგი შოთა ნადირაშვილი, რომელმაც გრიგოლ ლორთქიფანიძის სულიერი ანდერძის – მისი წიგნის „ფიქრები საქართველოზე" ძირითადი დებულებების გათვალისწინებით ისაუბრა ქართველი ერისა და ქვეყნის ყოფილ ხელისუფალთა მორალურ-ზნეობრივი სახის შესახებ.

სხდომაზე ითქვა, რომ საყოველთაოდ გავრცელებული სენტენცია, თითქოს „ყოველი ერი ღირსია თავისი ხელისუფლებისა", ანუ „როგორიც ხალხია, ისეთივეა მისი ხელისუფლება", მცდარია! ქვეყნის ხელისუფლება არცთუ იშვიათად, ძალადობით ან მოტყუებით (ფსევდოიდეალებით) მოდის ხოლმე, ერი, ხალხი კი უნივერსალურია და იგი, ჩვეულებრივ, ისეთი ხდება, როგორიც მისი მთავრობაა.

ქართველ ერს მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ბოლო პერიოდში უზნეო ხელისფლება ჰყავდა.

„პროლეტარიატის დიქტატურისა" და საბჭოთა კავშირის შემოქმედმა ვ.ი. ლენინმა უზნეობა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა და პოლიტიკის ქვაკუთხედად გამოაცხადა (გავიხსენოთ მისი ისტორიული სიტყვები: „Мы в вечную нравственность не верим и обман всяких сказок о нравственности разоблачение") და ასეთი პოლიტიკა განახორციელა რუსეთის ყოფილ იმპერიაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის ამორალურ იდეოლოგიაზე აღზრდილმა ლენინის მემკვიდრეებმა უზნეობაში თავის მოძღვარს გადააჭარბეს. ცინიზმის, ძალადობის და უზნეობის უწყვეტი ჯაჭვია საბჭოთა ხელისუფლების 70-წლიანი ბატონობის ხანა საქართველოში, სადაც იდევნებოდა და ულმობლად ისპობოდა ყველაფერი ნათელი, აზრიანი, ვაჟკაცური და ნამუსიანი. ამ პერიოდის სისხლიანი ისტორიის საილუსტრაციოდ უსასრულოდ შეიძლებოდა შემაძრწუნებელი ფაქტების მოტანა, რაც აქ ზედმეტად მიმაჩნია, მაგრამ ის კი უთუოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერმა ამან დამთრგუნველად იმოქმედა ერის ფსიქოლოგიასა და ზნეობაზე: ქართველებმა, რომლებიც ოდესღაც ნემსისა და აქლემის ქურდს ერთნაირად ქურდად ვთვლიდით, „не пойман, не вор"-ის პრინციპი გავითავისეთ; ერმა, ვისაც მისაბაძ იდეალად მიაჩნდა ქვეყნისთვის თავდადებული რაინდი და რწმენისთვის წამებული წმინდანი, საამაყოდ გაიხადა „კანონიერი ქურდის" წოდება.

საბჭოთა კავშირში აპრობირებული მართვის შევარდნაძისეული მეთოდი დამოუკიდებელ საქართველოში კომპარტიის ცეკას ყოფილ მდივანს ინერციით მხოლოდ 12 წელს გამოადგა.

ერის მოთმინების ფიალა აივსო. უზნეობის ჭაობში ჩაფლული საქართველო, თურმე, არ ყოფილა დასაღუპად საბოლოოდ განწირული და ქართველმა ერმა ჭეშმარიტად სასწაული მოახდინა: როგორც კი გამოჩნდა ზნეობრივი ლიდერი და ასევე ზნეობრივი მიზანი, ერი გამოფხიზლდა, გაერთიანდა, აზვირთდა და ერთი მრისხანე დაკვრით ისტორიის სანაგვეზე მოისროლა საძულველი რეჟიმი.

ეს მოხდა მშვიდობიანად და უსისხლოდ, რაც სრულებითაც არ არის ე. შევარდნაძის დამსახურება, როგორც ამას ზოგიერთი ცდილობს წარმოგვიდგინოს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების სხდომაზე დაისვა კითხვა: „როგორ დავუბრუნოთ ერს დაკარგული ზნეობა?" და პასუხიც გაეცა ამ კითხვას. გაიხსენეთ: „ერი ისეთი ხდება, როგორიც მისი ხელისუფლებაა!"

თუკი ზნეობრივი ლოზუნგებით მოსული ახალი ხელისუფლება არ გადაუხვევს დასახული გზიდან და შეურიგებელი დარჩება უზნეობის ყოველი გამოვლინების მიმართ, ერსაც დაუბრუნდება ნათელი დღეები, როდესაც საქართველოში ქურდს ქუდი ეწვოდა.

მაგრამ წინ კიდევ ბევრი და მძიმე სამუშაოა შესასრულებელი. ქვეყანას კრიტიკული მომენტი დაუდგა. ერის ცნობიერება გააქტიურებულია. დაიწყო თვითანალიზი და ზრუნვა იმაზე, რომ როგორმე კარდინალურად შეიცვალოს ვითარება.

ერთი მიზანი – ძველი ხელისუფლების შეცვლა – უკვე მიღწეულია და, როგორც კი ეს მოხდა, მაშინვე დაიწყო საუბარი ჰუმანიზმზე და ცოდვათა მიტევებაზე: წაქცეულ მტერს აღარ ურტყამენ.

მაგრამ დამნაშავეთა მიტევება ასე იოლად და ერთბაშად განსახორციელებელი საქმე არ არის. მოდით, ჯერ სამართლებრივი გზით გავარკვიოთ, ვინ რა დააშავა, და მხოლოდ შემდეგ ვიფიქროთ შენდობასა და პატიებაზე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცოდეთ, თუ რის მიტევებას ვაპირებთ.

ეს ეხება ქვეყნის ყოფილ პირველ პირსაც: საპატიმროში მის უთუოდ ჩასმას არავინ მოითხოვს, მაგრამ ისიც უნდა გასამართლდეს, რათა გაირკვეს, თუ რა დანაშაული მიუძღვის მას და მის ხელისუფლებას ერისა და ქვეყნის წინაშე.

დავიცვათ კანონის უზენაესობა. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ ჩვენი დღევანდელობა მაგალითი გახდეს ყველასთვის და ყველამ იცოდეს, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს ხვალ. მხოლოდ ასე აშენდება კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფო – მრავალტანჯული ქართველი ერის ნანატრი ნათელი მომავალი, როდესაც ქართველს აღარ ექნება სათქმელ-სამღერი: „აწმყო თუ არა გვწყალობს..."

თემურ ლორთქიფანიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი.

სოფელი

გვინდა, პრეზიდენტმა საკუთარი თვალით ნახოს...

რის ჩვენებას აპირებენ თეზელები ქვეყნის ხელმძღვანელისთვის?

შაბათს მეგობარმა მშობლიურ სოფელ თეზში მიმიწვია. დიდხანს არ გვიმგზავრია, დედაქალაქიდან ქსნის ხეობაში ჩამჯდარ ამ მშვენიერ სოფლამდე ავტომანქანით რაღაც ორმოციოდე წუთის სავალია. ეს დრო საუბარში ისე შემოგვადნა, ვერც კი გავიგეთ.

სოფლის შესასვლელთან მასპინძელმა ძველი „ჟიგული" დაამუხრუჭა და ოკამი-ფერმის გაზგამანაწილებელ სადგურთან შეკრებილ მოსაუბრეთა ჯგუფს გამოელაპარაკა.

— რას აპირებთ, კაცოო, არ გვეტყვით? — გასძახა მანქანიდან მერაბმა.

— მოდით ახლო და გეტყვით, — იყო მოჭრილი პასუხი.

გადავედით. მერაბმა დამხდურები გამაცნო: ეს ჩვენი სოფლის გამგებელია — შოთა ხრიკული, ეს „გორიგაზის" მთავარი ინჟინერი — ზაქრო ჩიხლაძე, დანარჩენები სოფლის აქტივისტები არიან. ჩემმა მასპინძელმა, როგორც შევატყვე, იცოდა მათი თავშეყრის ამბავი. მეც დავინტერესდი და ბატონ ზაქრო ჩიხლაძეს გავესაუბრე.

— ეტყობა, თეზში გაზის გაყვანას აპირებთ.

— ჩვენ კი არა, თავად თეზელები აპირებენ. აი, ათ წელიწადზე მეტია წვალობენ, ჯახირობენ, და მიზანს მაინც მიაღწიეს.

— რას ჯახირობენ?

— როგორ თუ რასა. ამ მილებს ყიდვა არ უნდოდა? დღევანდელი გლეხობის გასაჭირი ყველას კარგად მოეხსენება, სულ კაპიკ-კაპიკ აგროვებდნენ ფულს, რათა ოჯახებში ცისფერი ალი ჰქონოდათ.

— მაგრამ სოფელში გაზი შეყვანილი ხომ იყო?

— კი, თეზში გაზი კომუნისტებმა ჯერ კიდევ 1987 წელს შეიყვანეს, „ჭაშნიკად" აანთეს, გლეხებს დაანახეს და წავიდნენ. მაგრამ, მარტო ანთება რას უშველიდა, სოფლის შიგნით ქსელები ხომ უნდა გაკეთებულიყო, რომ ოჯახებს გაზი მიეღოთ?

— ახლა ეს ყველაფერი მზადყოფნაშია?

— რა თქმა უნდა, ამჟამად ხაზის საბოლოო შემოწმება მიმდინარეობს. ეს სამუშაოები ორ-სამ დღეში დამთავრდება და მოსახლეობა გაზს შეუფერხებლად მიიღებს.

— გადახდის ამბავი როგორ იქნება?

— კარგად, ყველა ოჯახს ექნება მრიცხველი და დახარჯული გაზის ოდენობის მიხედვით გადაიხდის.

— გადახდაზე პასუხისმგებლობას მე ვიღებ, — საუბარში ჩაერთო გამგებელი შოთა ხრიკული, აბა, ამდენ ნაშრომს წყალში ხომ არ გადავყრით!

— როგორ ფიქრობთ, გლეხებს ეს კეთილდღეობა ძვირი დაუჯდებათ?

— არა, რატომ, ერთი ოჯახი თვეში საშუალოდ 5-დან 8 ლარამდე დახარჯავს. აი, თხევადი გაზი კი რომ იყოს, ერთ ბალონში 15-18 ლარი უნდა გადაიხადოს. ბუნებრივი გაზი გაცილებით იაფია, თანაც ტყეს განადგურებისაგან იცავს.

— ადგილობრივი ხელისუფლება არ გეხმარებათ?

— როგორ არა, მაგრამ მთავარი დამხმარე მაინც ჩვენი თენგოა. ეგ არის ყველა საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი. დღემდე სოფელში თუ რამე გაკეთებულა, სულ მაგის იდეითა და თაოსნობით გაკეთებულა, — თქვა ხრიკულმა, ბოდიში მოიხადა, მეჩქარებაო და, დაგვცილდა.

— თენგო ვინ არის? — დავინტერესდი მე.

— თენგიზ ჯავახიშვილი (აქ ყველა თენგოს ეძახის), — მიხსნის მასპინძელი, — ამ სოფლის შვილია, ნამდვილი მოღვაწე და მამულიშვილი.

— სად მუშაობს?

— ამჟამად საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, — არ შეიძლება, არ იცნობდე.

— კი, გამახსენდა, როგორ არ ვიცნობ, რამდენჯერმე საქმეშიც შევხვედრივარ.

— აქაურ პედაგოგთა ოჯახშია გაზრდილი. დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი და თბილისის უნივერსიტეტის სპეცფაკულტეტი — ეკონომისტის სპეციალობით. არის ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. წლების მანძილზე მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტსა და რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. დიდი წარმატებაც ჰქონდა, მაგრამ მან წმინდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას ცხოვრების ორომტრიალში ჩართვა და მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის აქ გამოყენება ამჯობინა. გამოსდის კიდეც, იგი ჯავახიშვილების გვარის ღირსეული გამგრძელებელია.

— მაინც ასეთი რა გააკეთა?

— ბევრი რამ. აი, ავიღოთ თუნდაც უშუქობის პრობლემა, რომელმაც ბოლო წლებში მთელი საქართველო, მათ შორის კასპის რაიონის სოფლებიც გააწამა. აქაურმა მოსახლეობამ ამის გამო არაერთხელ გადაკეტა ცენტრალური გზა, მაგრამ პრაქტიკულად ვერაფერს მიაღწია. ადგა თენგიზ ჯავახიშვილი და დახმარებისთვის მაშინდელ „საქენერგოს" ხელმძღვანელობას მიმართა. მაგრამ არა ისე — ხელცარიელმა, მან თვითონვე გამონახა ტექნიკური საშუალება, საიდანაც შეიძლებოდა ელექტროენერგიის მიღება, როცა „საქენერგო" დარწმუნდა ამ საშუალების რეალობაში, ნებართვა გასცა, ელექტროენერგია მიეღოთ ქსნის მინის ქარხნის 110-კილოვატიანი ქვესადგურიდან. ამას კონკრეტული საქმე მოჰყვა — ოკამის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე დაამონტაჟეს საკომუნიკაციო მოწყობილობა და სოფლების — ოკამის, თეზის, ფერმის და ჩანგილარის მიმართულებით 5 კილომეტრზე გაიყვანეს ელექტროხაზი. ეს იმ პერიოდში მოსახლეობისათვის წარმოუდგენელი ნეტარება იყო.

რა თქმა უნდა, დენს იღებდნენ გრაფიკით (დილის 8-დან 10 საათამდე და საღამოს 8-დან 12 საათამდე) და ფულსაც დროულად იხდიდნენ, მაგრამ ამას

ვინ ჩიოდა. რაც მთავარია, ბნელში აღარ ისხდნენ, რაც მეზობელი რაიონებიდან და სოფლებიდან, ბუნებრივია, ბევრს შურდა.

— ერთხელაც, — ჰყვება მერაბი, — ვზივართ და ვქეიფობთ. სუფრაზე გორის რაიონის ერთ-ერთი სოფლიდან შემოგვესწრნენ. აგვიტყდნენ, გინდა თუ არა გვასწავლეთ, ეს შუქი საიდან გაქვთო. მოკლედ, გაიგეს თენგიზ ჯავახიშვილი რომ გვპატრონობს და ორი დღის შემდეგ კვლავ თავზე დაგვადგნენ: ცოტა ხანს გვათხოვეთ ეგ კაცი, ჩვენც გვიპატრონოსო. მოკლედ, შუქი ისე გვქონდა, თბილისელები ჩვენთან ნაკვეთებს ყიდულობდნენ...

ვიფიქრე, ჩემი მასპინძელი ხუმრობსმეთქი და დედაქალაქში რომ ვბრუნდებოდით, სოფლის წყაროსთან მომასლაათე გლეხებს თენგოზე სიტყვა ჩამოვუგდე.

— ეგეა, — დაადასტურეს მათ, — თენგო ჩვენი ჯილაა, ამიტომაც ყველანი მის გვერდით ვართ. სიტყვის კაცია, თუ რამე შეგპირდა, წყალი არ გაუვა, შეასრულებს კიდეც. თავიდან რომ გვითხრეს შუქი გექნებათო, ყველას გაგვეცინა, არ დაგვჯერდა, მაგრამ თენგიზის წყალობით ყველაფერი მოგვარდა. წვალებ-წვალებით ყველაფერი ვიშოვეთ. ქუდზე კაცი გამოვიდა ოთხივე სოფლიდან, დიდი და პატარა, ქართველი, აზერბაიჯანელი, ოსი გვერდიგვერდ ვმუშაობდით და საწადელს მივაღწიეთ საერთო ძალებით. თენგომ ძმებივით შეკრა ეს ოთხი სოფელი.

— ეს წყარო თავიდანვე გქონდათ?

— არა, წყაროს წყალიც მაგის თაოსნობითა და გარჯით გამოვიყვანეთ თვითდინებით. ამ დღეებში კი გაზსაც ველოდებით. ერთი ეგ არის, გვინდა ამ დღესასწაულს პრეზიდენტი დაესწროს.

— ასე რატომ გადაწყვიტეთ?

— ჩვენი კაცია და იმიტომ, მშრომელი ხალხი უყვარს და ჩვენც ძალიან გვიყვარს პრეზიდენტი. არჩევნების წინ იყო ჩვენთან, პირობა მივეცით, რომ ავირჩევდით და შევასრულეთ. იმის პირობაც მივეცით, რომ მისი თაკაკლობით ქვეყანას ავაშენებდით და აი ვაშენებთ კიდეც. გვინდა, პრეზიდენტმა ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ნახოს და სოფელში ცისფერი ალის შემოყვანის ბედნიერება ჩვენთან ერთად გაიზიაროს.

გუშინ თენგიზ ჯავახიშვილს ტელეფონით ველაპარაკე და თანასოფლელთა სურვილი გადავეცი.

— ვიცი, ვიცი, — თქვა მან, — ამ დღეებში პრეზიდენტს პირადად დავუკავშირდები და ვთხოვ ჩვენთან ერთად იზეიმოს. უამრავი საქმე აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თხოვნაზე უარს არ გვეტყვის.

ოთარ ხუციშვილი.

თანამშრომლობა

ადამიანი ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს თანაფარდობა

2004 წლის 19 მაისი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ქალაქ ზუგდიდის ისტორიაში. ამ დღეს რუსეთ-საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ადამიანის" ქართული მხარის პრეზენტაცია მოხდა.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომლის ძირითადი თემა XXI საუკუნის ადამიანის პრობლემა იყო, თავი მოიყარეს რუსეთისა და საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ქართულ-რუსულ სამეცნიერო კავშირებს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, მაგრამ ბოლო წლებში, ნებსით თუ უნებლიეთ, მან რღვევა იწყო, გაუცხოების ღრუბელი ჩამოწვა, რასაც უმთავრესი ბიძგი პოლიტიკურმა მოსაზრებებმა მისცა.

დრო მიდიოდა, მაგრამ რუსი და ქართველი მეცნიერების ელიტა დინებას არ გაჰყოლია, ისინი დღედაღამ ფიქრობდნენ ოდითგანვე არსებული მეცნიერულკულტურული ტრადიციებისა და ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების აღდგენაზე.

სამი წლის წინათ სანკტ-პეტერბურგში შეიქმნა რუსეთ-საქართველოს კვლევითი ცენტრი „ადამიანი", რასაც ადამიანის პრობლემის შესწავლის, მისი როლის წარმოჩენის, ნამდვილი ბუნებრივი სიმდიდრისა და ფასეულობის გაანალიზების სურვილი დაედო საფუძვლად. აღსანიშნავია, რომ ამ ცენტრის ქართული მხარე ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ბაზაზე, რომელსაც უკვე შემუშავებული აქვს 2004-2008 წლების და 2020 წლამდე მუშაობის გეგმები და მიმართულებები. ამათგან უმთავრესი ადამიანის პრობლემის და როლის განსაზღვრაა გლობალიზაციის პირობებში.

ეს სამეცნიერო ცენტრი არის ორი ქვეყნის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების მაკოორდინირებელი ორგანო, რომლის მეშვეობით მოხდება სტუდენტებისა და ასპირანტების გაცვლა, რუსი პროფესორმასწავლებლები იმუშავებენ საქართველოში, ქართველები კი — რუსეთში.

ზუგდიდის სიმპოზიუმის თემის გარშემო საინტერესოდ, მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული არგუმენტებით მისაწვდომად ილაპარაკა რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მაისეი კაგანმა. უკრაინის ეროვნებათა და მიგრაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, პოეტმა და მეცნიერმა, პროფესორმა რაულ ჩილაჩავამ ეროვნული საკითხის და გლობალიზაციის პრობლემის შესახებ საუბრისას მცირერიცხოვანი ერებისათვის მეტად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა, რასაც სიმპოზიუმის მონაწილენი დაეთანხმნენ. სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოვიდნენ რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, პროფესორი ვენიამინ გრუსმანი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი იგორ სოლონინი, ფილოსოფიის ფაკულტეტის ანთროპოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ბენედიქტ მარკოვი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიურ კვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ვალერი რამიშვილი, პროფესორები: ვახტანგ გოგუაძე, გია მოლაშხია, თსუ ზუგდიდის ფილიალის ფილოსოფიის კათედრის გამგე, დოცენტი კოტე ჩიქობავა, დოცენტი ნანი აბსავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნაპოლეონ მესხია, რომლებიც უმთავრესად XXI საუკუნის ადამიანის პრობლემებს შეეხნენ.

სიმპოზიუმზე ითქვა, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული ღრმა კრიზისის მიუხედავად, ქართველ ფილოსოფოსებს არ შეუწყვეტიათ ადამიანთმცოდნეობის თეორიული საკითხების კვლევა. პირიქით, გამოიკვეთა სრულიად ახალი მიმართულება მეცნიერებაში — ადამიანის პრობლემის პოლიტეკონომიკური დასაბუთება. სამი წლის წინათ შექმნილმა ცენტრმა „ადამიანი" კოლოსალური სამუშაოები ჩაატარა. გამოიცა ორი მონოგრაფია, ოთხი სამეცნიერო კრებული და ერთობლივი „საიუბილეო ისტორიული წიგნი" „Грузино-Российские научно-культурные связи в истории Санкт-Петербурга", რომელიც პეტრეს ქალაქის დაარსების სამასი წლისთავს მიეძღვნა.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ადამიანის" საქმიანობას ახალი იმპულსი მისცა შარშან 3-7 სექტემბერს ქალაქ თბილისში ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმის ჩატარებამ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, სანკტ-პეტერბურგისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ეგიდით ჩატარდა. მისი მონაწილენი უყოყმანოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დღის წესრიგში გადაუდებელ საკითხად დადგა რუსეთ-საქართველოს სამეცნიეროკულტურული და ადამიანური კავშირის აღორძინება. სიმპოზიუმის გამოძახილი იყო 2003 წლის 14 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩატარებული საიუბილეო სხდომა, რომელიც „ადამიანის" ორი წლისთავს მიეძღვნა.

ქართველ მეცნიერთა ძალისხმევით მიმდინარე წლის დასაწყისში თსუ ზუგდიდის ფილიალთან დაფუძნდა რუსეთ-საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ადამიანის" ქართული მხარე. სწორედ მისი ინიციატივით ჩატარდა ზუგდიდში (19-20 მაისი) ეს საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომლის სხდომებს თავმჯდომარეობდა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვახუშტი ფარცვანია, რომელსაც „ადამიანის" ქართული მხარის დაფუძნებისა და სიმპოზიუმის ორგანიზებულად ჩატარებაში ლომის წილი მიუძღვის, არის ამ ცენტრის მდივან-კოორდინატორი და ქართული მხარის ხელმძღვანელი.

საერთაშორისო სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნა და მის მონაწილეებს ნაყოფიერი მუშაობა უსურვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. მანვე იმ დღეს თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო „ივანე ჯავახიშვილის" მედალი გადასცა საქართველოს ექსპრემიერს ოთარ ფაცაციას 75 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.

რუსეთ-საქართველოს სამეცნიეროკვლევითი ცენტრის „ადამიანის" მიერ ჩატარებულმა სიმპოზიუმმა ზუგდიდში ნაყოფიერად იმუშავა.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ" საკ. კორ.

ინფორმაცია

დედაქალაქი

შენობამ უნდა დაგვამშვენოს

თბილისის მერიაში დღეს სამშენებლო-საპროექტო კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. მასში ქალაქის მერთან, პრემიერთან და ვიცე-პრემიერთან ერთად სამშენებლო კომპანიების „იბერიის", „აქსისისა", „არქსტუდიის", „გიდ არქიტექსისა" და „მაგი სტილის" წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ქალაქის მთავრობის წარმომადგენლებმა მოისმინეს სამშენებლო კომპანიების პრეტენზიები დედაქალაქში წარმოებული მშენებლობებისთვის შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.



ქალაქის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში არქიტექტურის სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება, რაც გარკვეულწილად გადაჭრის სამშენებლო კომპანიების რამდენიმე პრობლემას.

ამასთან, როგორც ქალაქის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ განაცხადა, თუ დღემდე კომპანიები არქიტექტურის სამსახურს „თითქოს არაფერს უხდიდნენ", უახლოეს მომავალში მათ სპეციალური გადასახადები დაუწესდებათ და არც ერთი კომპანია ზედმეტ თანხას აღარ გადაიხდის.

მისივე თქმით, დაუშვებელია, ახალი მშენებლობები მხოლოდ ცენტრალურ უბნებში მიმდინარეობდეს. „დამუშავდება სპეციალური პროექტი, რომლის მიხედვით, აღნიშნულ კომპანიებს მშენებლობების დაწყება არაისტორიულ უბნებშიც მოუწევთ".

ინტერ-პრესი.

აქცია

ლანჩხუთი თბილისს მოადგა

ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიძინა გუჯაბიძის განცხადებით, ლანჩხუთის მოსახლეობა საპროტესტო აქციის გასამართად თბილისისკენ დაიძრა და უკვე ქალაქის მისადგომებთან იმყოფება. მისივე მონაცემებით, მოსახლეობა საპროტესტო აქციის გამართვას სახელმწიფო კანცელარიასთან გეგმავს.

როგორც გუჯაბიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, ლანჩხუთის მოსახლეობა რაიონში ქურდობისა და ყაჩაღობის ფაქტების გახშირებას აპროტესტებს და კრიმინალური პოლიციის უფროსის ზურაბ სვანიძის გადადგომას მოითხოვს.

ინტერ-პრესი.

ინფორმაცია

ქველმოქმედება

სიურპრიზები კუს ტბაზე

არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ლაიამს კლუბმა" ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრთან ერთად გუშინ კუს ტბაზე საქველმოქმედო აქცია გამართა. აქციის ფარგლებში სარეაბილიტაციო სახლ „მომავლის სახლის" 70 აღსაზრდელს სხვადასხვა სიურპიზები მოუმზადეს, ასევე მოეწყო სპორტული შეჯიბრებები და გამარჯვებულ ბავშვებს სპეციალური პრიზები გადაეცათ.

პრიზები ბავშვებს კომპანია "ნესტლემაც" მოუმზადა.

„მომავლის სახლის" აღსაზრდელების მონაწილეობით სპეციალური ფოტოგამოფენაც მოეწყო.

კომპანია "კოკა-კოლამ" გუშინ კუს ტბაზე მყოფ ყველა ბავშვს ქუდები, ბურთები და კომპანია "მაკდონალდსის" "ჰეფიმილები" დაურიგა, კომპანია "სამგორმა" კი - ნაყინი.

ოპოზიცია

თუ შესაცვლელია, არ შევცვალოთ?

„მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე არ გამორიცხავს, რომ პარლამენტმა მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება ხელახლა მოითხოვოს. აღნიშნულის მიზეზად გამყრელიძე ეკონომიკის მინისტრის შეცვლას ასახელებს.

მისი თქმით, მინისტრთა კაბინეტში სამი მინისტრი უკვე შეიცვალა. ეს საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ პარლამენტმა კანონით გათვალისწინებული ნორმის ამოქმედება მოითხოვოს.

„მე მივესალმები კახა ბენდუქიძის ეკონომიკის მინისტრად დანიშვნას, თუ იგი ძირეულ ცვლილებებს განახორციელებს საქართველოს ეკონომიკაში და ინვესტიციებს მოიზიდავს. თუმცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება და ამგვარი მეთოდებით მინისტრად დანიშვნა საეჭვოდ მიმაჩნია", — აღნიშნა „ინტერ-პრესთან" საუბრისას გამყრელიძემ.

ინფორმაციები მოგვაწოდა საინფორმაციო სააგენტო ინტერ-პრესმა.

ადამიანი თავის ადგილზე

მომავლისთვისაც თესლი ურევია...

სენაკში მცირე ბიზნესი ვითარდება

დღითი დღე მშვენდება და ლამაზდება სენაკი. თვალში მოგხვდებათ სისუფთავე, კეთილმოწყობილი, გამწვანებული ქუჩები, ბაღები და სკვერები. ყველაფერს მეურნის ხელი ეტყობა და ამაში ძალიან დიდია სენაკის რაიონის გამგებლის გურამ მისაბიშვილის წვლილი, რომელმაც 2002 წლის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში, აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.

მისი საქმიანობის პრინციპი ასეთია: „არ შეიძლება ადამიანი მოვიდეს, და იმედგაცრუებული გაუშვა". რაიონის გამგეობაში შექმნილია მოსახლეობის სოციალური დახმარების ფონდი, რითაც მუნიციპალური პროგრამის საფუძველზე ცდილობენ ცხოვრება გაუადვილონ შეჭირვებულ, ნაკლებად უზრუნველყოფილ და სოციალურად დაუცველ ფენებს. მთხოვნელთა რიგები არ აკლია გამგებლის მისაღებს.

გამგეობის ყოველდღიური საზრუნავია ადგილობრივი თუ ცენტრალური ბიუჯეტის შევსება და მიზნობრივად გამოყენება. ყველა გათვალისწინებული პარამეტრი სრულდება. სრულყოფილად მოქმედებს ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა. აქაური პროდუქცია გასულია ამერიკის, ბალტიისპირეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ქვეყნებში. საწარმოში დასაქმებულია 700-მდე ადამიანი, მათი საშუალო ხელფასი 150 ლარია.

რამდენიმე წელია, რენტაბელურად მუშაობს ხეტყის დამმუშავებელი ქართულ-ბერძნული საწარმო. უახლოეს მომავალში ნავარაუდევია აგვჯის ქარხნის ამუშავება. მისი პროდუქცია გაიყიდება არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებზე. ყოველივე ამას ემსახურება 200-ზე მეტი ადამიანი.



მეხუთე წელია, რაც სოფელ თეკლათში, მდინარე ცივის მიდამოებში, წარმატებით მუშაობს ჰოლანდიის ტენდერში გამარჯვებული მეცხოველეობის კომპლექსი, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობენ მამა-შვილები აკაკი, მამუკა და კახაბერ ალანიები. ჰყავთ 130 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი, საშუალო წველადობა 20-25 ლიტრია. ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიან პროდუქციას (არაჟანი, ხაჭო, მაწონი, რძე და ჰოლანდიური ყველი) საქართველოს ბაზარზე ჯერჯერობით კონკურენტი არა ჰყავს. მასზე დიდი მოთხოვნებია ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკის და ფოთის სავაჭრო-სამომხმარებლო ობიექტებზე, სერიოზული წინადადებებია ქობულეთიდანაც.

ამჯერად დღეში იწარმოება 700-750 ლიტრი რძე. ჰოლანდიიდან მიღებული თანამედროვე ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარებს სრულყოფილად ამუშავებენ კვალიფიციური სპეციალისტები. შესაბამისი ხელშეწყობის შემთხვევაში მუშა-მომსახურეთა ხელფასების ზრდასთან ერთად იმატებს წარმადობაც. ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად შედის 20-25 ათასი ლარი.

სოფელ ნოქალაქევის სატბორე მეურნეობის შენარჩუნებაში დიდი წვლილი მიუძღვით ამ საქმეზე უზომოდ შეყვარებულებს დამირ წახნაგიას და მურთაზ ჯიჯიხიას. გამოყენებულია ტბორების საერთო მოცულობის 70 პროცენტი. როგორც აქ გვითხრეს, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სესხის სახით გამოყოფს 15-20 ათას ამერიკულ დოლარს, მაშინ ყოველწლიურად ბიუჯეტში 100 ათასი ლარს მაინც შეიტანენ.

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც შინაგან საქმეთა სენაკის რაიონულ განყოფილებას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი ოპერატიული მუშაკი, პოლიციის პოლკოვნიკი მამუკა შონია. სამართალდამცავთა მეოხებით მცირე ბიზნესში ჩაბმულ ადამიანებს მშვიდი შრომის საშუალება მიეცათ.

დიახ, ბევრი რამ სასიკეთოდ კი შეიცვალა, მაგრამ, როგორც ბატონი გურამ მისაბაშვილი ამბობს, სენაკში ჯერ კიდევ საკმაოზე მეტია გასაკეთებელი. ამიტომ რაიონის გამგეობა კვლავაც ყოველ ღონეს ხმარობს პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, რაშიც გამგეობას მხარში უდგას საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში.

„წინანდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისთვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში აწმყოსათვის" — სულმნათი ილიას ეს სიტყვები უშედეგოდ არც სენაკში ჩაივლის...

თამაზ როგავა,

სურათებზე: სენაკის რაიონის გამგებელი გურამ მისაბიშვილი; სოფელ თეკლათის მეცხოველეობის ფერმა.

პროექტი

მოსავლიანობა მატულობს, დანახარჯები კი მცირდება

ჩვენ – ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია გვინდა

ეკოლოგთა კავშირში („ფარი") განხორციელდა პროექტი — „ბიოგაზის დანადგარებში გადამუშავებული ბიომასის სასუქად გამოყენების ეფექტური მეთოდების დემონსტრირება და დანერგვა ხობის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის ფერმერულ მეურნეობებში".

პროექტის ხელმძღვანელია აგროეკოლოგი ხათუნა ახალაია, რომელმაც აგროუნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა ატლანტის უნივერსიტეტში განაგრძო და მიიღო აგრობიზნესმენეჯერის კვალიფიკაცია.

აღნიშნული პროექტის მიზანია ბიოგაზის დანადგარებში წარმოებული ბიომასის გამოყენებით ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდა, ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროექტი განხორციელდა სამი რაიონის და ხუთი სოფლის ათ ფერმერულ მეურნეობაში: ბიასა და გაღმა საჯიჯაოში (ხობი), პირველ ჭოღასა და მეორე ჭოღაში (ჩხოროწყუ), ობუჯში (წალენჯიხა). ამ რაიონებში მსოფლიო ბანკის დაფინანსებითა და სასოფლო-სამეურნეო კვლევის დანერგვა-კონსულტირების პროექტით 2002 წელს აშენდა ბიოგაზის დანადგარები, რისთვისაც საჭირო იყო მიღებული ბიომასის გამოყენების ეფექტური მეთოდების დანერგვა და მისი ნაკელსაცავებიდან ამოღების, ასევე ტრანსპორტირებისა და მინდორში შემტანი მცირე მექანიზმების შექმნა.

ფერმერულ მეურნეობაში 6,5 ჰექტარი საკონტროლო ნაკვეთი შეირჩა, მოიხნა და დაითესა პროექტით გათვალისწინებული კულტურები, სიმინდი — 5 ჰექტარზე, ბოსტნეული — 0,5 და თხილის ბაღი — ერთ ჰექტარზე.

— პროექტი მცირე ცვლილებებით განხორციელდა, — ამბობს პროექტის ხელმძღვანელი ხათუნა ახალაია. — ბიოგაზის დანადგარებიდან მიღებული ბიომასის ეფექტური გამოყენების მიზნით ჩავატარეთ შემდეგი სამუშაოები: ნიადაგების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლის შემდეგ ამ მონაცემების საფუძველზე თითოეული ნაკვეთისთვის დავადგინეთ ბიომასის გამოყენების ნორმები და ვადები, კერძოდ, ღარიბი ნიადაგებისთვის გამოვიყენეთ ბიომასის სრული ნორმა, აქედან ბიომასის 70-80 პროცენტი — ძირითადი განოყიერებისთვის, 20-30 პროცენტი — შემდგომი გამოკვებისთვის. ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ბიომასაში საკვები ელემენტების შემცველობის მიხედვით დადგინდა ბიომასის შეტანის ვადები და ნორმები პროექტით გათვალისწინებულ თითოეულ კულტურაზე. გარდა ამისა, ჩავატარეთ მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე ფენოლოგიური დაკვირვება.

პროექტით მოცემული რაიონების ფერმერებისთვის დამზადდა მცირე ტექნიკური საშუალებები: 4 ერთეული ხელისა და 4 ერთეული ფეხის ტუმბო და 8 ერთეული — ბიომასის ნიადაგში შემტანი მოწყობილობა. აღნიშნული ტექნიკური საშუალებების გამოცდის პროცესში მოვიწვიეთ სპეციალისტები მექანიზაციის ინსტიტუტიდან, პროექტის ტექნიკური მონიტორინგის ჯგუფი და აღნიშნული ტექნიკური საშუალებები გამოვცადეთ მათი დამზადების ადგილზე, მიღებული შენიშვნები შევიტანეთ ტექნიკური საშუალებების პროექტში.

პროექტში მონაწილე ფერმერების მიერ გათვალისწინებული ტექნოლოგიების გამოყენებით **მოიმატა ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობამ, შემცირდა მინერალური სასუქების შეძენასთან, ნაკელის შეტანასა და მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული დანახარჯები, გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.**

როგორც დავაზუსტეთ, ბიოგაზის დანადგარი იძლევა ენერგიას — გაზის სახით და ორგანულ სასუქს — ბიომასის სახით. თითოეულმა ფერმერმა აშენებული ბიოგაზის დანადგარით მიიღო გაზი და გამოიყენა ბიომასა პროექტით გათვალისწინებული მცირე ტექნიკური საშუალებებით, აღნიშნული ტექნიკური საშუალებების ეფექტურობიდან გამომდინარე, დასაბამი მიეცა მათი ფართო მასშტაბით სერიულ წარმოებას. ახალაიას დასკვნით, მიღებული **სოციალურ-ეკონომიკური და მაკრო-ეკოლოგიური ეფექტი იძლევა იმის საფუძველს, რომ პროექტი არის „სიცოცხლისუნარიანი, ფართოდ გავრცელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ფერმებში, სადაც აშენებულია, ან მომავალში აშენდება ბიოგაზის დანადგარი".**

აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული ტექნოლოგიების ფერმერებისათვის გაცნობის, სწავლა-კონსულტირების მიზნით ჩატარდა ლექცია-სემინარები და მოეწყო სადემონსტრაციო დღე. პრაქტიკული სემინარები ფერმერებისთვის გამართეს მოწვეულმა მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ანზორ ჩანქსელიანმა, პროექტზე მომუშავე სხვა პირებმა.

ნაზი იმნაიშვილი.

◎ წერილი რედაქციას

ხელისუფლების ლეგიტიმურობისთვის აუცილებელია სამართალმემკვიდრეობის პრინციპის დაცვა

რედაქციამ წერილი მიიღო, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორ შხალაძე და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი მანანა არჩვაძე-გამსახურდია. ეს არის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა პოლიტიკური პარტიებისადმი, ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

1990 წელს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ აღიარა 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო ინტერვენცია, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა, სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს ოკუპაცია-ანექსია, კომუნისტური რეჟიმი გამოცხადდა არალეგიტიმურად, უკანონოდ და მისი ბატონობის 70-წლიან პერიოდში მიღებული ყველა ნორმატიული აქტი იურიდიულად გაბათილდა.

ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ეროვნულმა მოძრაობამ გააუქმა 25 მარტს დანიშნული უკანონო საბჭოური არჩევნები და სამართალმემკვიდრეობის პრინციპის საფუძველზე ჩაატარა მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოური არჩევნები, რომელიც გაიმართა საბჭოთა კონსტიტუციის რეგლამენტაციის გარეშე, პოლიტიკური პარტიები რეგისტრაციაში გატარდა პარიტეტის პრინციპით დაკომპლექტებულ ცსკო-ში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში 3,5 მილიონი ამომრჩევლიდან უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა საარჩევნო ბლოკს „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატის 246 მანდატიდან 155 მანდატი მოიპოვა.

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო, სახალხო რეფერენდუმში საქართველოს რესპუბლიკის 3 657 477 ამომრჩევლიდან 3 295 493 ამომრჩეველმა ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. სამართალმემკვიდრეობის პრინციპის დაცვით, კონსტიტუციური უწყვეტობის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომლის საფუძველზე 1991 წლის აგვისტოდან დღემდე საქართველოს სუვერენული სახელმწიფო სცნო 60-ზე მეტმა ქვეყანამ, საქართველოს რესპუბლიკა, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი, გახდა გაეროს, ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

1990-91 წლებში მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ, როგორც ქართველმა, ისე არაქართველმა, სამჯერ მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ მოძრაობას, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" პროგრამას, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

1921 წლის თებერვალ-მარტის მსგავსად 1991-93 წლებში რუსეთის იმპერიული სამხედრო ძალების (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები და სპეცსამსახურები — ბეპაევი, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტი — ადმირალი ბალტინი, ძერჟინსკის სახელობის დივიზია, როსტოვის სპეცდანიშნულების რაზმი, 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი), ადგილობრივი კრიმინალების, პარტნომენკლატურის, ცრუ პოლიტიკური პარტიების შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ მოხდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუ- [illegible]

1991-93 წლებში, 1921 წლის ანალოგიურად, რუსეთმა საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში განახორციელა აგრესია, რომელიც 1974 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შესაბამისად უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულად მშვიდობის წინააღმდეგ. გაეროს 1965 წლის დეკლარაციის მიხედვით დაუშვებელია სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა, მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხელყოფა, უცხო ქვეყნის ძალების მიერ ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა; დაირღვა, აგრეთვე, ეუთოს ჰელსინკის 1975 წლის თათბირის ძირითადი პრინციპი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ „...ყოველ ადამიანს აქვს უფლება სხვების თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი თავისი ქვეყნის მართვაზე... ხალხის ნება უნდა იყოს მთავრობის ძალაუფლების საფუძველი..." ეუთოს მოსკოვის 1991 წლის 11 სექტემბრის კონვენციის (რომელიც მიძღვნილი იყო 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში განვითარებული მოვლენებისადმი და მასში მონაწილეობდა მსოფლიოს 38 სახელმწიფოს წარმომადგენელი) დოკუმენტში აღინიშნა, რომ „...დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა უნდა დაიგმოს. სახელმწიფოს ის კანონიერი ორგანოები, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, იმსახურებს მხარდაჭერას..."

ხელისუფლების ლეგიტიმურობისთვის, მისი კანონიერად აღიარებისთვის აუცილებელია სამართალმემკვიდრეობის პრინციპის დაცვა. სამართალმემკვიდრეობა ნიშნავს კანონიერი ორგანოების მიერ კანონის დადგენილი წესით ხელისუფლების ცვლას, ხელისუფლების სამართლებრივი ნორმების დაცვით მოქმედებას, კონსტიტუციური უწყვეტობის შენარჩუნებას. სამართალმემკვიდრეობის პრინციპის დაცვის აუცილებლობამ განაპირობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის 27-ე პუნქტის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ნიშნავს უზენაესი საბჭოსა და საკრებულოების არჩევნებს, ცსკო-ს შემადგენლობას. საერთაშორისო სამართალში, საერთოდ, იურისპრუდენციაში, ლეგიტიმურად მიიჩნევა კანონიერი ხელისუფლება, რომელიც სამართალმემკვიდრეობის პრინციპის დაცვით, სამართლებრივი ნორმების პროცედურის შესაბამისად ჩამოყალიბდა.

საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო სამართლით ხელისუფლების ლეგიტიმურობის პირველი წყაროა ხალხი. საქართველოს რუსპუბლიკის კონსტიტუციის I თავის მე-2 მუხლში და „საქართველოს კონსტიტუციის" მე-5 მუხლის I პუნქტში აღნიშნულია, რომ ხალხი არის ხელისუფლების წყარო. ხელისუფლების ორგანოები ლეგიტიმურობას ღებულობენ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით დანიშნულ არჩევნებში პირველ წყაროსგან — ხალხისგან.

საერთაშორისო სამართლის ამ ძირითადი პრინციპის დაცვის აუცილებლობამ განაპირობა უკანონო კომუნისტური რე- [illegible]

ხელისუფლების ლეგიტიმურობის იურიდიულ გამოხატულებას ემსახურება მისი ლეგალურობა. ე. ი. ნორმატიულობა, კანონის, სამართლის ნორმების ფარგლებში ფუნქციონირება. სწორედ ასეთ ლეგიტიმურ, სამართალმემკვიდრე ხელისუფლებას წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტი (ამ ინსტიტუტის ფუნქციონირება დროებით შეჩერებულია უზენაესი საბჭოს მიერ და იგი არავის არ გაუუქმებია), მთავრობა, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კონსტიტუციის ფარგლებში. რაც შეეხება 1992 წელს „შექმნილ" საოკუპაციო ადმინისტრაციას, არალეგალურ ხელისუფლებას, მაფიოზურ-დანაშაულებრივ რეჟიმს, იგი იყენებს არა სამართლის ნორმებს, კანონებს, არამედ ძალადობას, იძულებას, დაუწერელ კანონებს, ანტისახელმწიფოებრივ, ანტიდემოკრატიულ ქმედებებს. ერთმანეთის პარალელურად საქართველოში არსებობს ერთი მხრივ, ლეგიტიმური, ლეგალური ხელისუფლება — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, მეორე მხრივ, 1992 წელს შექმნილი არალეგიტიმური, არალეგალური, მაფიოზურ-დანაშაულებრივი რეჟიმი, რაც მოითხოვს საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე პრობლემის გადაწყვეტას.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის დღიდან საოკუპაციო ადმინისტრაცია ცდილობს დევნილობაში მყოფი ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმებას, ტერაქტებით, მოსყიდვებით, ფიზიკური ლიკვიდაციით, ტერორით, სხვადასხვა პროვოკაციებით. ლეგიტიმური ხელისუფლება, მიუხედავად სასტიკი დევნისა, ტერორისა, დევნილობაში აგრძელებს მუშაობას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 1992 წლიდან სისტემატურად ატარებს სესიებს, ღებულობს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და, როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერების გარანტი, კონსტიტუციური ვადის ამოწურვამდე გააგრძელებს მუშაობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და მთავრობას უფლებამოსილება არ მოუხსნიათ, არც თვითლიკვიდაცია გამოუცხადებიათ, არც კონსტიტუციური ვადა ამოუწურავთ და საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლით ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმების არავითარი სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის ბაზის, კონსტიტუციური უწყვეტობის პრინციპის, ლეგიტიმური ხელისუფლების სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება საშუალებას იძლევა გაუქმდეს 1921 წლის ყარსის, 1992 წლის დაგომისის, 1993 წლის სოჭის, 1994 წლის მოსკოვის, 2001 წლის „ნულოვანი ვარიანტის" და სხვა ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ხელშეკრულებები. ლეგიტიმური ხელისუფლების 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე უცხო ქვეყნის საოკუპაციო ძალების გაყვანით საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე [illegible]

[illegible]

განცხადება

სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აქციონერებს იწვევს სააქციო საზოგადოების [illegible] საერთო კრებაზე. კრება ჩატარდება 2004 წლის 22 ივნისს, 14 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა № 44.

დღის წესრიგი:

1. სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დირექტორატის ანგარიში მისი ერთი წლის გაწეული მუშაობის შესახებ 2003 წლის 8 მაისს საქართველოს სახელმწიფოს, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა" და „ჟი ეი გოვერნმენტ სერვის ინკ." შორის დადებული სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მართვის ხელშეკრულების" შესაბამისად.

2. ცვლილება სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ჯაფარიძის საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევასთან დაკავშირებით.

აქციონერებს დღის წესრიგის საკითხის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სააქციო საზოგადოების დირექციაში.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან [illegible] აქციონერები, [illegible] „კომპანია-ცენტრი". [illegible] 2004 წლის 12 ივნისს [illegible] 18 საათისთვის. მისამართი: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24 [illegible] „კომპანია-ცენტრის" ოფისში.

დავით სორტონი,
სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

თბილისი, 2004 წლის 2 ივნისი.



ნავთობის ბაზარზე ფასების ზრდას ელიან

იმის მიუხედავად, რომ საუდის არაბეთი აპირებს ნავთობის მოპოვების გაზრდას, ნავთობის ფასი კვლავ იმატებს, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სპარსეთის ყურის ზონაში ახალი ტერორისტული აქტების განხორციელების საფრთხე.

მოთარეშეების მიერ ამ ცოტა ხნის წინათ საუდის არაბეთის ქალაქ ჰუბარის საცხოვრებელ კომპლექსებზე განხორციელებული თავდასხმა (ამ ტერორისტული აქტის შედეგად 22 კაცი დაიღუპა), როგორც მოელიან, კიდევ უფრო გაზრდის ნავთობის ისედაც მაღალ ფასებს.

აზიის ბაზრებში ნავთობის ფასმა 2 პროცენტით მოიმატა. მოსალოდნელია, რომ იგი კიდევ უფრო მეტად მოიმატებს შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის ბირჟებზე, რომლებიც ორშაბათს დახურული იყო.

როგორც ტრეიდერები აღნიშნავენ, საკმარისია კიდევ ერთი ტერორისტული აქტი საუდის არაბეთში იმისთვის, რომ სრულმა პანიკამ მოიცვას ნავთობის ბაზარი.

საუდის არაბეთის მთავრობა კი ამტკიცებს, რომ ნავთობის ობიექტები საიმედოდაა დაცული და ბოლო ტერორისტული აქტი არანაირ გავლენას არ მოახდენს ამ ნედლეულის მიწოდებაზე.

ქუვეითიც მხარს უჭერს საუდის არაბეთს და აღნიშნავს, რომ გაზრდის ნავთობის წარმოებას. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი განცხადებები ვერ დაამშვიდებს ბაზარს.

ამ ორი კვირის წინათ ამერიკული ნავთობის ფასმა ნიუ-იორკში მიაღწია 41,85 დოლარს, რაც ყველაზე მაღალი ნიშნულია აბსოლუტური ფასების მთელი ისტორიის მანძილზე.

თუმცა, ეს ფასები არ ითვალისწინებენ ინფლაციას. დღევანდელი ფასებით 1 ბარელის ნავთობის ღირებულებამ 1979 წელს 80 დოლარს მიაღწია.

მაშინ ნავთობის ფასების ზრდამ დასავლეთში სერიოზული ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია.

როგორც ეკონომისტები აცხადებენ, თუ ფასები ერთი-ორი თვის განმავლობაში ასეთ მაღალ დონეზე იქნება შენარჩუნებული, მაშინ, უნდა ველოდოთ ინფლაციის ზრდას, წარმოების ხარჯებს, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას და სტაგნაციას.

ეკონომიკის საერთო გლობალიზაციას თუ გავითვალისწინებთ, ეფექტი, ალბათ, არ იქნება ლოკალური.

ნავთობის მწარმოებელთა და ექსპორტიორთა ორგანიზაცია — ოპეკი — ასევე შეშფოთებულია ამ ნედლეულის ფასების ზრდის გამო. ეკონომიკის მკვეთრი დაქვეითება გამოიწვევს ნავთობის მოხმარების შემცირებას, როგორც ეს მოხდა ამ ოციოდე წლის წინათ, და, შესაბამისად, ექსპორტიორთა შემოსავლების კლებას.

საუდის არაბეთმა, მსოფლიოში ნავთობის უდიდესმა ექსპორტიორმა ქვეყანამ გამოთქვა წინადადება, რომ ოპეკის მოპოვების კვოტები ამჟამინდელი მაჩვენებლიდან — დღე-ღამეში 23,5 მილიონი ბარელიდან — კიდევ 2,5 მილიონით გაიზარდოს.

არაბული ქვეყნები არაორაზროვნად მიანიშნებენ, რომ ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა მიიღონ ბეირუთში, სადაც ხუთშაბათს გაიმართება ნავთობის მწარმოებელთა და ექსპორტიორთა ორგანიზაციის შეხვედრა. კარტელის წევრი ქვეყნების უმრავლესობა უკვე დღეს მოიპოვებს ნავთობს ზღვრული შესაძლებლობების დონეზე.

მაგრამ სამ ქვეყანას — საუდის არაბეთს, გაერთიანებულ არაბულ საამიროებს და ქუვეითს — შეუძლიათ პრაქტიკულად ერთბაშად 3 მილიონი ბარელით გაზარდონ ნავთობის სადღეღამისო მოპოვება. ასეთმა ზომებმა, შესაძლოა ოდნავ ჩააცხროს ვნებათაღელვა ბაზარზე.

მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღარ განხორციელდება თავდასხმები საუდის არაბეთის ნავთობის ობიექტებზე.

პაკისტანი უმკაცრესი ზომების მიღებას აპირებს

პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა განაცხადა, რომ მიიღებს უმკაცრეს ზომებს ქვეყანაში შიიტებსა და სუნიტებს შორის მომხდარი სისხლისმღვრელი დაპირისპირების აღსაკვეთად.

პრეზიდენტმა ასეთი განცხადება გააკეთა ქალაქ კარაჩის შიიტურ მეჩეთში აფეთქების შემდეგ, რომლის შედეგადაც, როგორც უკვე ვიტყობინებოდით, დაიღუპა სულ ცოტა 16 და დაშავდა 40-ზე მეტი კაცი.

აფეთქება მოხდა ქალაქის იმ რაიონში, რომელშიც კვირას ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა მოკლა მაღალი წოდების სუნიტი მღვდელთმსახური — მუფთი ნიზამუდინ შამზაი. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი ამ ორ მოვლენას შორის არსებულ რაიმე კავშირზე.

აფეთქება მოხდა საღამოს ლოცვის დროს. მეჩეთის ერთ-ერთი კედელი ჩამოინგრა, ბეტონის გუმბათი კი — გაიბზარა. მეჩეთის მიმდებარე შენობა, რომელშიც განლაგებული იყო მღვდელმთავართა რეზიდენცია, დაინგრა.

ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში შიიტებსა და სუნიტებს შორის რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი შეტაკებების შედეგად პაკისტანში 4 ათასამდე კაცი დაიღუპა.

განრისხებულ შიიტთა ბრბო სასწრაფოდ შეგროვდა მეჩეთის მახლობლად. აფეთქების შემდეგ კარაჩიში მოხდა თავდასხმები ავტომობილებზე, ბენზინის გასამართ სადგურებზე, სკოლებზე, მაღაზიებსა და ბანკებზე. ორი კაცი დაიღუპა, როცა პოლიციამ გაუხსნა ცეცხლი გამძვინვარებულ ბრბოს. არმია მოიყვანეს საბრძოლო მზადყოფნაში ქალაქში უშიშროების უზრუნველსაყოფად.

როგორც პაკისტანის ინფორმაციის მინისტრმა შეიჰ რაშიდ აჰმედმა განაცხადა, ქვეყნის პრეზიდენტი მუშარაფი დაიმუქრა, რომ მიმართავს უმკაცრეს ზომებს, თუ ქალაქში არ შეწყდება შეტაკებები რელიგიურ ნიადაგზე.

ამავე დროს, ექვსი ფუნდამენტალისტური პარტიის კოალიციამ გამოაცხადა, რომ მომავალი პარასკევისთვის გაიმართება საერთო-ეროვნული გაფიცვა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი მღვდელთმსახურის — მუფთი შამზაის მკვლელობის გამო პროტესტის ნიშნად.

სამი კვირის წინათ კარაჩის ერთ-ერთ შიიტურ მეჩეთში აიფეთქა თავი ტერორისტმა — კამიკაძემ, რის შედეგადაც 14 კაცი დაიღუპა.

საუდის არაბეთში იჭერენ მიმალულ მოთარეშეებს

საუდის არაბეთში დაიწყო იმ ზოგიერთი ისლამისტი მოთარეშის ძებნის მასობრივი ოპერაცია, რომლებიც გადაურჩნენ დაპატიმრებას ქალაქ ჰუბარში 25-საათიანი ალყის მოხსნის შემდეგ.

მთელ ქალაქში გამოყვანილია პოლიციის პიკეტები, რომლებიც ცდილობენ გამოავლინონ და დააკავონ სამი კარგად შეიარაღებული ეჭვმიტანილი პირი.

როგორც საუდის არაბეთის ხელისუფლები აღნიშნავენ, მოთარეშეთა ჯგუფის ლიდერი დაიჭრა და იგი დაკავებულია, თუმცა დანარჩენებმა შეძლეს ალყის გარღვევა და მიმალვა. მათ თან მძევლებიც წაიყვანეს.

საუდის არაბეთში შეერთებული შტატების ელჩმა შერარდ კაუპერ კოულზმა უკვე განაცხადა, რომ მოსალოდნელია სხვა მსგავსი ინციდენტები.

ელჩის თქმით, ზუსტი მონაცემები სავარაუდო თავდასხმების შესახებ არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, მრავალი რადიკალი გეგმავს ისეთი აქციის განხორციელებას, როგორიც ჰუბარში მოხდა.

დიდმა ბრიტანეთმა ურჩია თავის მოქალაქეებს შეიკავონ თავი საუდის არაბეთში გამგზავრებისგან, თუ ამის გადაუდებელი საჭიროება არ იქნება, თუმცა, ბრიტანეთის მთავრობა ჯერჯერობით არ მოუწოდებს თავის მოქალაქეებს დატოვონ საუდის არაბეთი.

22 კაცი დაიღუპა გასულ უქმე დღეებში, როცა ისლამისტი მოთარეშეები დაესხნენ თავს შენობა კომპლექსს, რომლებშიც ცხოვრობდნენ მენავთობე-ინჟინრები. თავდამსხმელებმა 50 მძევალი გაიტაცეს.

და მაინც, ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ ამტკიცებს, რომ ოპერაცია, პრინციპში, წარმატებული იყო, რადგან მოხერხდა 41 კაცის გათავისუფლება.

როგორც ზოგიერთი განთავისუფლებული აცხადებს, შენობის შტურმი დაიწყო მას შემდეგ, რაც ცხრა მძევალმა გაქცევა სცადა, რის გამოც მათ ყელი გამოჭრეს.

კარგად შეიარაღებულმა მოთარეშეებმა შეძლეს შენობის დატოვება, ისინი მძევლებს ცოცხალ ფარად იყენებდნენ, მათმა მეთაურმა კი ვერ შეძლო გაქცევა, რადგან დაჭრილი იყო.

აუდიოჩანაწერზე, რომელიც ერთ ისლამისტურ ვებ-საიტზე განათავსეს, აღნიშნულია, რომ თავდასხმა „ალ-ყაიდას" მიერ იყო განხორციელებული. „ჩვენ გავწმინდეთ ურჯულოებისაგან არაბეთის ნახევარკუნძულს", — აცხადებს ფირზე აღბეჭდილი ხმა.

საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ჰუბარში მოკლულთა შორის არიან დიდი ბრიტანეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფილიპინების, შვედეთის, შრი-ლანკისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეები, სხვადასხვა ეროვნების 25 კაცი დაჭრილია.

ლიბერიის ყოფილ პრეზიდენტს გაასამართლებენ

გაეროს სპეციალურმა ტრიბუნალმა სიერა-ლეონეში დაადასტურა, რომ აპირებს გაასამართლოს ლიბერიის ყოფილი პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი, რომელიც ამ ქვეყანაში მომხდარი სამოქალაქო ომის დროს უჭერდა მხარს ამბოხებულთა ძალებს.

ტეილორის ადვოკატებმა სთხოვეს ტრიბუნალს, რომ მიეცა იმუნიტეტი ყოფილი პრეზიდენტისათვის, რადგან სიერა-ლეონეში სამოქალაქო ომის დროს მას ეკავა ლიბერიის პრეზიდენტის პოსტი.

ტეილორს წაუყენეს 17 ბრალდება საერთაშორისო კანონების დარღვევისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობათა გამო.

მას, კერძოდ, ბრალად ედება რევოლუციური გაერთიანებული ფრონტის მოთარეშეების მხარდაჭერა, რომლებიც 10 წლის განმავლობაში მიმდინარე ომის დროს განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. სამოქალაქო ომის წლებში, რომელიც მხოლოდ 2002 წელს დასრულდა, ზოგიერთის შეფასებით, მოკლეს 500 ათასი კაცი.

ჩარლზ ტეილორმა მოიხსნა პრეზიდენტის უფლებამოსილება გასული წლის აგვისტოში. ამჟამად იგი ნიგერიაში იმყოფება.

2003 წლის დეკემბერში ინტერპოლმა გასცა ჩარლზ ტეილორის დაპატიმრების ორდერი.

ტეილორის ადვოკატებმა აპელაცია საქმის სასამართლო გარჩევის დაწყებამდე შეიტანეს. ადვოკატების ერთ-ერთი არგუმენტი იყო ის, რომ ტრიბუნალს ეროვნული ხასიათი აქვს და მისი მოქმედება არ ვრცელდება სიერა-ლეონეს ფარგლებს გარეთ.

მაგრამ, ტრიბუნალის მოსამართლეთა თქმით, მათ აქვთ იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ ტეილორი უჭერდა მხარს სიერალეონელ მოთარეშეებს, რის სანაცვლოდაც იგი იღებდა მილიონობით დოლარად ღირებულ ბრილიანტებს.

ნიგერიის ხელისუფლება უარს აცხადებს ტეილორის გადაცემაზე და აღნიშნავს, რომ ლიბერიის ყოფილი პრეზიდენტისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა იყო ლიბერიაში სისხლისღვრის შეჩერების ერთადერთი საშუალება.

ნორვეგიაში ბარებსა და რესტორნებში თამბაქოს მოწევა აკრძალეს

ნორვეგია გახდა მსოფლიოში მეორე ქვეყანა, რომელმაც საერთო-ეროვნული აკრძალვა შემოიღო თამბაქოს მოწევაზე საზოგადოებრივ ადგილებში.

ნორვეგიის მთავრობა ამტკიცებს, რომ კანონმა უნდა დაიცვას ბარებისა და რესტორნების მუშაკები პასიური წევის საფრთხისგან.

თუმცა, როგორც იტყობინებიან, ოსლოში საგრძნობლად გაიზარდა ღია რესტორნების რიცხვი, რომელსაც მრავალი თამბაქოსმწეველი ეტანება.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემების თანახმად, მთავრობის ასეთ მოქმედებას მხარს უჭერს ნორვეგიელთა უმრავლესობა.

ირლანდია მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც აკრძალა თამბაქოს მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში. ირლანდიის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს ნაბიჯი წარმატებული გამოდგა — ქვეყნის ლუდხანებისა და რესტორნების დაახლოებით 96 პროცენტი იცავს ახალ წესებს.

ნორვეგიის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის დაგფინ ჰოიბრატენის თქმით, აკრძალვის მიზანია არა თამბაქოს წევის, არამედ მხოლოდ მისი ნეგატიური ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა.

ნორვეგიაში თამბაქოს ეწევა ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 26 პროცენტი, რაც აღემატება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ ზღვრულ დონეს — 20 პროცენტს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ.29ა აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მომსახურება უნდა განხორციელდეს გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები სადაც ასახული იქნება თავიანთი ზოგადი მოსაზრებები დასახული მიზნის რეალიზაციისთვის და მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკი, ღირებულების გარეშე, დალუქული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ **17.06.04.-დან 18.06.04.-ის 18 სთ.-მდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, შესყიდვების სამმართველო.** კომისია პირველ ეტაპზე განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს რის საფუძველზეც განისაზღვრება პრეტენდენტები, ხოლო შემდეგ მოხდება შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი. საზედამხედველო მომსახურება უნდა განხორციელდეს დარგში არსებული მომქმედი ინსტრუქციებისა და სხვა ნორმებისა და წესების მიხედვით.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ბ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გარდა ამისა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდენ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- მონაწილის იურიდიული სტატუსი; რეგისტრაციის ადგილი; წესდება; მოღვაწეობის ძირითადი ადგილი. სატენდერო წინადადების ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ).

- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	საგზაო დარგში მუშაობის გამოცდილება (წელი)

ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პერსონალს უნდა გააჩნდეს საგზაო დარგში მუშაობის კვალიფიკაცია და გამოცდილება.

- სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში მის მიერ გასაწევი მომსახურება:

გასაწევი მომსახურეობის სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება

- მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადები დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის ვადის დასრულების შემდეგ და დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, სართული მე-13, საკონტაქტო ტელეფონი: 37-63-95, გია დიასამიძე.**

---

1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ.29ა აცხადებს ღია ორეტაპიან საერთაშორისო ტენდერს საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მომსახურება უნდა განხორციელდეს გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები სადაც ასახული იქნება თავიანთი ზოგადი მოსაზრებები დასახული მიზნის რეალიზაციისათვის და მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკი, ღირებულების გარეშე, დალუქული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ **17.06.04.-დან 18.06.04.-ის 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, შესყიდვების სამმართველო.** კომისია პირველ ეტაპზე განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს რის საფუძველზეც განისაზღვრება პრეტენდენტები, ხოლო შემდეგ მოხდება შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი. საპროექტო სამუშაოები უნდა შესრულდეს არსებული მომქმედი ნორმებისა და წესების დაცვით.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ბ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გარდა ამისა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- მონაწილის იურიდიული სტატუსი; რეგისტრაციის ადგილი; მოღვაწეობის ძირითადი ადგილი. სატენდერო წინადადების ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ).
- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო მოცულობა ლარებში:

2001წ. ——————
2002წ. ——————
2003წ. ——————

- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე გაწეული ანალოგიური მომსახურება:

№	მოწყობილობა-დანადგარების სახე	რაოდენობა	მოწყობილობა-დანადგარების დანიშნულება	საკუთარი, იჯარით აღებული
1				
2				
3				

მონაწილეს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილება.

- მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარები:

№	მოწყობილობა-დანადგარების სახე	რაოდენობა	მოწყობილობა-დანადგარების დანიშნულება	საკუთარი, იჯარით აღებული
1				
2				
3				
.				
.				

მონაწილეს უნდა გააჩნდეს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის საჭირო საკუთარი ან იჯარით აღებული მანქანა-მექანიზმები.

- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ მომსახურეობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი)

მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პერსონალის საერთო და ანალოგიურ მომსახურებაზე მუშაობის გამოცდილება არ უნდა იყოს 5 წელზე ნაკლები.

- სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში მის მიერ გასაწევი მომსახურება:

გასაწევი მომსახურეობის სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება

- ლიცენზია
- მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადები დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის ვადის დასრულების შემდეგ და დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს.

7. “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ტენდერში საქართველოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, სართული მე-13, საკონტაქტო ტელეფონი: 37-63-95, გია დიასამიძე.**

◎ აბჯარი

ვივა იტალია, ვივა ჯორჯია!

კიდევ ერთი კარგი ტრადიციის აღორძინება შევამჩნიე ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს: ყოველ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ადგილობრივ მაღალჩინოსნებთან და მოწვეულ საპატიო სტუმრებთან ერთად ღირსეული რიგითი ჯარისკაცებიც მონაწილეობენ, რომელთაც თავიანთი მუყაითი სამხედრო სამსახურით სამშობლოსადმი ერთგულებითა და საბრძოლო-სასწავლო წარმატებებით ავტორიტეტი მოიპოვეს.

ეს ორი ყმაწვილი, რომელთაც თქვენ ერთ-ერთ ფოტოზე ხედავთ, ძმები გახლავთ, – დავით და ლევან მიქავები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის კურსანტები. დავითმა და ლევანმა სულ ახლახან ჩაამთავრეს პირველი კურსის გამოცდები და რაც მთავარია, – კურსიდან კურსზე გადასასვლელ საერთო კონკურსში პირველი ასეულის მსმენელთა შორის პირველი და მეორე ადგილები გაინაწილეს.

წალენჯიხელი ყმაწვილები არ ღალატობენ მიქავების დიდი ოჯახის ტრადიციებს და სამშობლოს ჯარისკაცების გასავლელი გზის პირველ საფეხურზე უკვე ამაყად და სახელოვნად შეაბიჯეს. სწორედ ეს დაუფასა ხელმძღვანელობამ და იმ მნიშვნელოვან ღონისძიებაში დასწრების უფლება მისცა, რომელიც მიმდინარე წლის 29 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გაიმართა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ღონისძიება იტალიის თავდაცვის სამინისტროს მიერ ქართველი კოლეგებისადმი გრანტის სახით გამოყოფილი ეკიპირების გადაცემას მიეძღვნა. საჩუქარში შედის ყველაფერი, – დაწყებული თეთრეულიდან და ლაბადიდან, ტექნიკური საშუალებებით დამთავრებული.

სწორედ იტალიელთა მიერ ნაჩუქარი საპარადო ფორმა აცვიათ იმედის ჯარისკაცებს – დავითსა და ლევანს!

– ამ ცერემონიალის მნიშვნელობა მხოლოდ საჩუქრების გადაცემით არ ამოიწურება. ეს არის იმ მეგობრული ურთიერთობების ხაზგასმა, რომელიც ამ ბოლო წლებში ჩამოყალიბდა იტალიასა და საქართველოს შორის, – ბრძანა იტალიის ელჩმა საქართველოში ფაბრიციო რომანომ, – ამით იტალია გამოხატავს მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს, განვითარების ახალ ეტაპზე მდგარ საქართველოს, კერძოდ ძალოვანი სტრუქტურების გარდაქმნისა და ნატოსა და ევროსტრუქტურებში გაწევრიანების საქმეში. ყოველივე ეს კი განსაკუთრებით ხელშესახები იქნება უახლოეს მომავალში დაგეგმილი ნატოს სამიტის შემდეგ. დღეს კი გთხოვთ, მიიღოთ ეს მცირედი საჩუქარი თქვენი ქვეყნისადმი იტალიის ხალხისა და მთავრობის მხარდაჭერის ნიშნად! ვივა იტალია, ვივა ჯორჯია!

– ეს „მცირედი საჩუქარი“ რვა მილიონ ევროს ტოლფასია. და თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი სტრუქტურისათვის, ყველას კარგად მოგეხსენებათ! – ბრძანა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ვახტანგ კაპანაძემ და მართლაც, საჩუქარი არა თუ „მცირედი“, არამედ ერთობ შთამბეჭდავია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ მომავალი გეგმებს, რომლის კონტურები უკვე მოხაზულია საქართველო-იტალიის შემდგომი ურთიერთობების პროგრამაში.

ვათვალიერებთ სახელდახელო გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებს და კეთილისმყოფელისადმი მადლიერების გრძნობასთან ერთად, ერთი დიდი დარდი მაწუხებს:

როდის შეიძლება ჩემმა ქვეყანამ თვითონ არჩინოს თავისი ჯარიც და თავისი ხალხიც?

ეს შეკითხვა, რა თქმა უნდა, საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის არ დაგვისვამს, მაგრამ, თითქოს ჩანაფიქრს მიმიხვდაო, – ბატონმა გელა ბეჟუაშვილმა, გულწრფელი მადლობა მოახსენა რა იტალიურ მხარეს, იქვე დამაჯერებლად ბრძანა:

– მომავალი წლიდან ჩვენ ადგილობრივი რესურსებით მოვამარაგებთ ჩვენს ჯარს ამუნიციით – თეთრეულით, ჩასაცმელ-დასახურითა და სხვა ისეთი საგნებით, რომელთა წარმოება საქართველოში ოდითგან ტრადიციულიც იყო და ხარისხიანიც. ამით ორ საქმეს გავაკეთებთ, –ნორმალურად შეიმოსება ჯარი და მოსახლეობაც დასაქმდება. ამიტომ, ესარგებლობ შემთხვევით და პრესა-ტელევიზიის საშუალებით მივმართავ ქართველ მეწარმეებს, ბიზნესმენებს, საქმიან ხალხს, – ჩაერთონ ამ პროგრამის განხორციელებაში.

მართლაც, მშვენიერი ჩანაფიქრია. ახლა მთავარია მისი პრაქტიკული განხორციელება. სიტყვა თქვენზეა, ქართველო მეწარმეებო!

ზაურ ფიფია.
ავტორის ფოტო.

განცხადებები

სს „სასტუმრო აჭარის“ დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 23 ივნისს 18 საათზე თბილისში, 26 მაისის მოედანზე მდებარე სააქციო საზოგადოების შენობაში.

დღის წესრიგი:
1. 2003 წლის წლიური ანგარიში.
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.
3. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.
4. 2004 წლისათვის აუდიტორის არჩევა.

სს „ეი-ი-ეს ხრამჰესი II“ იტყობინება, რომ 2004 წლის 24 ივნისს, 10 საათზე ტარდება აქციონერთა მორიგი საერთო კრება, მისამართზე ქ. თბილისი, ვანის ქ. № 3.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:
1. საზოგადოების 2003 წლის ანგარიშის დამტკიცება;
2. საზოგადოების სახელწოდების შეცვლა;
3. საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით;
4. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
5. სხვადასხვა.

Specific Procurement Notice

1. Georgian Department of Roads, Georgia, Tbilisi 0160, Gagarin St 29 A, announces two stage open international tender for roads and structure for procurement of design services for periodic maintenance, rehabilitation and construction and invites all interested persons to show the winner. The detailed descriptions of services to be rendered are given in bid documentation.

2. The service should be conducted within one year period after signing agreement with the winner.

3. On the first step of tender all interested Bidders must submit Qualification Data in Georgian Language where will be described their general ideas for realization their future missions, their service plan and schedule without showing price and in sealed envelopes should be presented **from 17.06.04 - 18.06.04 till 18:00 PM at the following address: Georgian Departments of Roads, 13 Floor, Tender Department (Procurement Department).** The commission on the first stage will discuss all the qualification data presented by the interested bidders on the base of these, pretenders will be determined, after that will be discussed first bid proposal presented by the pretender. While evaluating first bid proposal it's correspondence to the requirement of purchasing organization will be taken into consideration and the evaluation by point system will not be used. Project works should be implemented with existing acting norms and keeping rules.

4. Qualification Data ought to contain following note and information's:

4.1 FOR LEGAL ENTITY

a) Note from Court, that there is no organization or liquidation notification from the house of notary and that there is no sequestration on this property;

b) Notification from the Ministry of Internal Affairs that it's director was not under sentence during last five years and there is no criminal act concerning his official economical activities at present.

4.2 FOR PSYCHICAL ENTITY

a) Notification from Court that he doesn't have wholly or partially limited possibility.

b) Notification from the Ministry of Internal Affairs that he has not been guilty during last five years or there is and there is no criminal act concerning his official and economical activities at present.

FOR LEGAL AS WELL AS PHYSICAL ENTITIES.

a) Notification from Court that there is no readjustment or bankrupt act against him.

Besides qualification data ought to contain the following notices and information.

- Legal status of participant; Place of Registration; Place of activity. Authorization for signing Bid (attached)

- Total amount for the services rendered during last 3 (three) years in Lari.

2001 –
2002 –
2003 –

The list of works of analogous type and complexity executed during last 3 three years or in the given period;

Type of service
Name of the purchaser
Contract Price

The bidder must have the experience of analogous works

Necessary equipment for providing services (please indicate the equipment's model, type, mark, quantity, condition, owned or leased).

The bidder must have all the necessary equipment owned or leased for services considered by the tender.

- Qualification and experience of bidder's main authorities: (please indicate the name, post, working experience, analogous work experience including years.

Authorities total and analogous work experience should not be less than 5 five year.

If taking sub contractor his service must be (please indicate the type of works that must be rendered, Sub Contractors name and the address, analogous work experience provided by the sub contractor.

License

The director of participating legal or physical entity approves the truth of the above mentioned with his signature and seal that it corresponds "State Procurement Law" requirements determined by the Georgian law

5. Legal or Physical Entity will not pass qualification if they will not represent all necessary notification and information given in the paragraph 4 will not satisfy Georgian Road Department qualification requirements or one of them will be false.

6. A complete set of bidding document in Georgian language eligible bidders may receive after the payment 500 hundred Georgian Lari after paying tender charges. .The dates of Purchasing bid documentation will be fixed after finishing first stage of the bid and the pretenders will be informed additionally.

7. According to the "State Procurement Law" in the bid toward the prices presented by the bidders is used preferential discount in the frame of 15 percent.

8. Interested bidders may receive further information on the following address: **Georgian Department of Roads, 13 floor, Tender Department. (Tel: 37-63-95, GIA DIASAMIDZE).**

◉ ღვაწლი

მისი ცხოვრების დევიზია: „იჩქარე, სიკეთის კეთება“

ბურთის ქარს გისურვებთ, ბიზნესმენებო! — ასე მიმართავს ახლახან გამოსული წიგნის — „პატიოსანი ბიზნესისაკენ“ — ავტორი საბაზრო ეკონომიკის „ოკეანეში“ გასულ ქართველ ბიზნესმენებს, რომელთაც ეს-ეს არის დაიწყეს „ზღვაოსნობა“ და „უსაჭოდ და უკომპასოდ“ რომ არ დარჩნენ, ერთგვარად „მოკრძალებულ“ რჩევა-დარიგებას აძლევს.

ვინ გახლავთ მრჩეველი? ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის პროფესორი, საქართველოს პედაგოგიურ, ქართული ფენომენისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი თენგიზ ჭიაბრიშვილი, პიროვნება, რომელსაც მდიდარი მეცნიერული კვლევებისა და გამოცდილების წყალობით ბევრი რამ დაეჯერება.

ამ წიგნის (და არა მარტო ამ წიგნის) ავტორს, ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტსა და პედაგოგს ამას წინათ კოლეგებმა, მისმა აღზრდილებმა, ფართო საზოგადოებრიობამ სახელოვანი იუბილე — დაბადების 75 წლისთავი მიულოცეს.



საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში დაბადებულმა თენგიზ ჭიაბრიშვილმა ვერცხლის მედლით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლა, შემდეგ კი წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ახალგაზრდა სპეციალისტი ერთხანს მუშაობდა საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში, თბილისის მექანიკურ ქარხანაში. 1957 წლიდან იგი კვლავ უბრუნდება მშობლიურ უნივერსიტეტს, ამთავრებს ასპირანტურას, რის შემდეგ ათწლეულების მანძილზე მუშაობს ასისტენტის, მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის თანამდებობებზე.

პროფესორმა თენგიზ ჭიაბრიშვილმა, რომელიც 120-მდე სამეცნიერო და პუბლიცისტური შრომის ავტორია, დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკის მართვისა და დაგეგმვის სრულყოფა; სპეციალისტთა კვლავწარმოების საკითხები; განაწილებითი ურთიერთობების თეორია და პრაქტიკა; საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის პროგნოზირება და დაგეგმვა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წინააღმდეგობები; ბაზრისა და გეგმის სიმბიოზი; მაკროეკონომიკური თეორია და მაკროეკონომიკური დაგეგმვა; ახალი ცნობიერების ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემები.

მეცნიერს ურთულეს ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად ფილოსოფიურად აქვს გააზრებული ეკონომიკურ პროცესებში ადამიანის ადგილი და როლი. ამის დადასტურებაა ნაშრომი „საბაზრო ეკონომიკა, სახელმწიფო რეგულირება და ადამიანი“, რომელშიც გამოკვლეულია ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების, ეკონომიკურ სისტემაში ადამიანის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის როლის, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მეთოდოლოგიური საკითხები. ნაშრომი — „გზა პატიოსანი ბიზნესისაკენ“ — ბიზნესმენებისა და სტუდენტების სამაგიდო წიგნია. ავტორი მკითხველს სთავაზობს ბიზნესის დაწყებისა და განვითარების გზას, საკუთარი ძალების შეფასების საინტერესო სისტემას, რომელთა საფუძველიც გულახდილობა და პატიოსნებაა.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად დიდია ბატონ თენგიზის დამსახურება ახალგაზრდა კადრების მომზადებაში. მისი მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით მაკროეკონომიკის კათედრის ბაზაზე ფუნქციონირებდა „მაკროეკონომიკის“ რამდენიმე სპეცჯგუფი, რომლის კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ ეროვნული ეკონომიკის წამყვან სფეროებში. ბატონ თენგიზისთვის სტუდენტებისაკენ მიმავალი ყველაზე კეთილი გზა აზროვნებაა. აქტუალური მაკროეკონომიკური პრობლემების შესწავლის პროცესში სტუდენტებში საყოველთაო მოწონებას იმსახურებს მისი წიგნი „ეკონომიკა ხატოვან აზროვნებაში“.

მაკროეკონომიკური რეგულირება, სტრატეგიული დაგეგმვა, მენეჯმენტი, ეკოლოგია და ეკონომიკა ის კურსებია, რომლებიც მეცნიერმა წლების მანძილზე ცოდნითა და სიყვარულით შექმნა და ამჟამინდელი წინააღმდეგობრივი გარდაქმნების პერიოდში უკითხავს სტუდენტებს ლექციებს.

ფასდაუდებელია ბატონ თენგიზის დამსახურება საშუალო სკოლის მოსწავლეებში ეკონომიკური აზროვნებისა და განათლების პროცესის განვითარებაში. თანაავტორებთან ერთად მის მიერ მომზადებული ეკონომიკის სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელთათვის ცნობიერების ფორმირებისა და მათი მომავალი ცხოვრების გზამკვლევია. მისივე რედაქტორობით გამოვიდა გამოყენებითი ეკონომიკის სახელმძღვანელოს პირველი ქართული თარგმანი წიგნისა, რომლითაც სწავლობენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფუნდამენტურ საკითხებს მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში.

ბატონი თენგიზი ინდივიდუალობით, აზროვნების სტილით გამორჩეული პიროვნებაა. იგი 1995 წლიდან არჩეულია საქართველოს ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრის საბჭოს, ამავე ცენტრის „საქართველოში ეკონომიკური ცოდნის გავრცელების ფონდის“ დირექტორთა საბჭოს წევრად და სასწავლო პროგრამების ფუნქციონირების კომიტეტის თავმჯდომარედ. წლების მანძილზე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების („ეკონომიკა“) სარედაქციო კოლეგიის წევრი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და სხვა საპატიო ჯილდოებით.

თენგიზ ჭიაბრიშვილის ცხოვრების კრედოა: „იჩქარე, აკეთო სიკეთე“. მეცნიერი და პედაგოგი დღესაც აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა და დარწმუნებული ვართ, მომავალშიც ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებს.

ვლადიმერ პაპავა,
თსუ მაკროეკონომიკის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

ელგუჯა მექვაბიშვილი,
თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ეთერ ხარაიშვილი,
თსუ მაკროეკონომიკის კათედრის პროფესორი.

◉ რეპლიკა

სიგარეტი ცოტა ხანს გადააგდეთ!

ნამეტანი გაგვიშინაურდა ტელეეკრანი: „გვებლატავებიან“ მაყურებლებს, „ებლატავებიან“ ერთმანეთს („ნათია, დღეს ბრწყინვალედ გამოიყურები“, „ჩვენ აქ სამაიმუნოდ შევიკრიბეთ და მოდით, ვიმაიმუნოთ“ და სხვა)...

გამოგვყავს „საინტერვიუდ“ ეკრანზე ცნობილი ხელოვანი, მწერალი, სწავლული, პოლიტიკოსი — დალოცვილებს, მაინცდამაინც კადრში მოუნდებათ ხოლმე სიგარეტის გაბოლება. საზოგადოების, განსაკუთრებით მშვენიერთა სქესის „ნიკოტინიზაციამ“ ხომ ისედაც ერთობ საშიში განზომილებები შეიძინა! ამის შემდეგ როგორ დავარწმუნოთ ბავშვები, მოწევა მავნებელიაო! არ შეიძლება, რომ მოსაუბრეს წინასწარ ვთხოვოთ, სანამ ეკრანზეა, მცირე ხნით გაძლოს უსიგარეტოდ? მოწევას უნდა ვუწევდეთ რეკლამას თუ მოუწევლობას?..

პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ტელევიზიაში, სხვა სფეროებში, „ატლანტიკადალეული“ ახალგაზრდები მოვიდნენ და არა ერთი მათგანი ცდილობს ყოველნაირად დაგვარწმუნოს, თუ როგორი თავისუფალია კომპლექსებისაგან. ახლახან ტელეეკრანზე ერთი ახალგაზრდა მინისტრი გამოჩნდა, გვერდით ასევე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი ეჯდა. ჯდომას ვამბობ, თორემ რა ჯდომაა — გადათხლარშული, დემონსტრაციულად ფეხებგაშვერილი (კიდევ კარგი, მაგიდაზე არ შემოაწყო)... კი, ამერიკა (იგულისხმება — შეერთებული შტატები) დიდი, ზემძლავრი, პატივსაცემი ქვეყანაა, მაგრამ იქიდან ბევრი სიგლახეც ხომ მოდის? ყველაფერი გადმოვიღოთ? გაიხსენეთ ამერიკული ფილმები: სამუშაო კაბინეტებში (ოფისებში) მაღლა ფეხებშეწყობილი და ისე მოსაუბრე გმირები; წყლიანი თასებიდან პეშვით წყლის ამოღება და იქვე ხელ-პირის ჩაბანა; გაიხსენეთ, როგორ მოტლაკუნებენ იატაკზე ფეხშიშველა ქალები (მარტო ამერიკულ ფილმებში კი არა...), ლამის მთელ სახლს შემოივლიან და შეწვებიან საწოლში. დავიჯერო, ისე მოკრიალებული იატაკები აქვთ, რომ ლოგინში ჭუჭყი არ აჰყვებათ? ან ისევ საწოლზე ფეხსაცმელგაუხდელად წამოგორება როგორ მოგწონთ?..

ასე რომ, ჩვენი ცხოვრების „ამერიკანიზებას“ ცოტა ფრთხილად, წინდახედულად მოვეკიდოთ. შეიძლება კარგი მეინგლისურეები გავხდეთ, მაგრამ, პირველ რიგში, კარგი მოქართულეები უნდა ვიყოთ. თუმცა ეკრანის ენა ცალკე მსჯელობის საგანია.

ტელეეთიკის ფარგლებში „ჯდება“ კიდევ ერთი მწვავე საკითხი — ეკრანს ბევრი „სისხლი სდის“. ტელეარხები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომელი უფრო სასტიკ ფილმს უჩვენებს — ცემა-ტყეპით, სროლით, აფეთქებებით, მკვლელობებით... ოღონდ ესეც საგანგებო მსჯელობის საგანია...

თამაზ ეგანოიძე.

◉ ჭადრაკი

მაია ჩიბურდანიძე ჩემპიონატს გამოეთიშა



გუშინ ელისტაში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარფინალური მატჩების განმეორებითი შეხვედრები გაიმართა. სამწუხაროდ, ფინალური ორთაბრძოლა უჩვენოდ ჩაივლის. როგორც გაუწყეთ, გუშინწინ მაია ჩიბურდანიძე ევროპის ექსჩემპიონს ბულგარელ ანტუანეტა სტეფანოვას შავი ფიგურებით დაუზავდა, გუშინ კი თეთრი ფიგურებით დამარცხდა და ჩემპიონატს გამოეთიშა. ფინალში გავიდა სტეფანოვა, რომლის მეტოქეც წუხელ გვიან ღამით გაირკვა, რადგან ინდოელმა ჰამპი კონერუმ განმეორებითი შეხვედრა მოუგო რუსეთელ ეკატერინა კოვალევსკაიას, წონასწორობა აღადგინა და გამარჯვებულის გამოსავლენად 25-წუთიანი ტაიბრეიქები დაინიშნა.

* * *

ანთალიაში (თურქეთი) დასრულდა ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. 13 ტურის შემდეგ უკრაინელმა ვასილი ივანჩუკმა და ბოსნიელმა პრედრაგ ნიკოლიჩმა 9-9 ქულა მოაგროვეს. დამატებით მინიმატჩში 2:0 გაიმარჯვა ივანჩუკმა და ჩემპიონობა მოიპოვა, მეორეზე ნიკოლიჩი გავიდა, ბრინჯაოს მედალი სომეხ ლევონ არონიანს ხვდა. ქართველმა დიდოსტატებმა — ზვიად იზორიამ და ბაადურ ჯობავამ 7-7 ქულით XXV-XXXIII ადგილები გაინაწილეს.

◉ ფარიკაობა

მუშკეტერები ახალ ბრძოლას იწყებენ

თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის (უფროსი დავით ოქიტაშვილი) დაფინანსებით ვაკის საფარიკაო დარბაზში ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი დედაქალაქის მოსწავლეთა სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფარიკაობაში. ბილიკებზე გამოვიდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეები.

როგორც საქალაქო სამსახურის ოლიმპიური რეზერვის ფარიკაობის სასპორტო სკოლის დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა ლუდვიგ ღაღანიძემ გვითხრა, ტურნირის მიზანი იყო 1989-1990 წლებში დაბადებულ მოფარიკავეთა მზადყოფნის შემოწმება და 3-5 ივნისს საქართველოს მოსწავლეთა სპორტულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად თბილისის ნაკრებით დაკომპლექტდება.

გაუწყებთ ფინალური ორთაბრძოლების შედეგებს: **გოგონები. რაპირა.** რუსუდან წირქვაძე — მადონა ჩაბრაძე 15:14. **დაშნა.** თეა მოდებაძე — მეგი ტყაბლაძე 15:8. **ვაჟები. რაპირა.** გიორგი გრიგოლია — ჯემალ ჯიქია 15:12. **ხმალი.** კახაბერ მაღრაძე — ზურაბ კაკულაშვილი 15:8. **დაშნა.** ლევან ჯორბენაძე — ბესარიონ თუკაძე 15:13.



ტურნირის შედეგებით დაკომპლექტდა თბილისის ნაკრები, რომელიც ხვალ საქართველოს მოსწავლეთა თამაშებში ჩაებმება.

გიორგი გაგუა.

სურათებზე: ორთაბრძოლის მომენტი; თბილისის ჩემპიონები თეა მოდებაძე და ლევან ჯორბენაძე ლუდვიგ ღაღანიძესთან ერთად.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

◉ ჭიდაობა

შეხვედრა ევროპის ჩემპიონებთან

შაულიაიში (ლიტვა) ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე, როგორც ვიუწყებოდით, თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს საქართველოს სამივე ასაკის სამბოს სტილის ოსტატებმა. ლიტვიდან ჩამოსული ქართველი სამბისტების მთავარმა მწვრთნელმა და სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ოლეგ იაძემ პრესკონფერენცია გამართა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში.

მან ისაუბრა ჩემპიონატის საინტერესო დეტალებზე. აღნიშნა, რომ განვლილ ასპარეზობაში 21 ქვეყნის სამბისტები გამოდიოდნენ. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილი დაიკავა. ასევე მეორე იყო ახალგაზრდული ნაკრებიც. საქართველოს დიდების გუნდმა რუსეთისა და ბელორუსიის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

შაულიაიში მოეწყო ჭიდაობა სამბოს ევროპის ფედერაციის არჩევნებიც. ახალ პრეზიდენტად აირჩიეს რუსი სერგეი ელისეევი, რომელმაც განაცხადა, რომ 2005 წლიდან ევროპის ჩემპიონი ჯილდოს სახით 10000 ამერიკულ დოლარსაც მიიღებს. ოლეგ იაძეს თქმით, საქართველოს ჭიდაობა სამბოს ფედერაციის გადაწყვეტილებით, ახლო მომავალში საცხოვრებელ ბინას შეუძენენ ევროპის 2004 წლის ჩემპიონს, ხაშურელ გელა ბარათაშვილს. რაც შეეხება შემოქმედებით გეგმებს, მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრები მოემზადება მსოფლიოს თასის გათამაშებისათვის, რომელიც 16-20 ივნისს პრაღაში (ჩეხეთი) გაიმართება.

შალვა ქორიძე.

სურათზე: ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები სამბოს ფედერაციის თავკაცებთან და მწვრთნელებთან ერთად.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

◉ ქართული ჭიდაობა

გორის შემდეგ — ლენტეხში

ქართული ჭიდაობა მუდამ იტაცებდა გორელებს. ფალავანი ძმების — ეგნატაშვილების ნაკვალევზე ამ მხარეში ხომ ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები აღიზარდნენ...

საქართველოს 2004 წლის ჭაბუკთა პირველობას ქართულ ჭიდაობაში სწორედ მოჭიდავეთა ქალაქმა — გორმა უმასპინძლა.

გორის განათლების სპორტსკოლის დარბაზში 17 რაიონისა და ქალაქის ჭაბუკები შეიკრიბნენ.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო შიდა ქართლის სპორტის სამმართველოს უფროსი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი ძიუდოში გორელი გიორგი თენაძე. სწორედ მთავარი მსაჯის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ პირველობის საუცხოო ორგანიზაცია.

პირად პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს გორელმა მოჭიდავეებმა. მათ მიერ ოქროს მედლების უმეტესობის მოხვეჭა არც არავის გაჰკვირვებია.

ასევე უნდა შევაქოთ ქუთაისელები, მათი მწვრთნელის გურამ მელიქიშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა. ქუთათურებმა 8 საპრიზო ადგილი მოიპოვეს ამ პირველობაზე.

პირველი ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით დაიკავეს ლაშა ლომიძემ, გიორგი თათრიშვილმა, ნიკა კერესელიძემ, პაატა მერაბიშვილმა, სოსო ქოქაშვილმა, შოთა ვანიშვილმა, გურამ რომელაშვილმა და იოსებ ჩილინდრიშვილმა.

სხვათა შორის, მოჭიდავეები გორში დაესწრნენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ რაინდთა მემორიალის გახსნასაც.

საქართველოს პირველობას ჭაბუკების შემდეგ ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდები ივნისში ლენტეხში გამართავენ.

ბესიკ გაბრიაძე.

სურათებზე: შენ დაუკა! ჭიდაობა; დაღუპულ ვაჟკაცთა მემორიალი; ტურნირის გამარჯვებულნი.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

◉ მძლეოსნობა

იუნიორთა რეკორდები

კარგი ინიციატივით გამოვიდა საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია, რომელმაც თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს“ ეროვნულ სტადიონზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მძლეოსნები მიიპატიჟა. თბილისში საასპარეზოდ ჩამოვიდნენ აზერბაიჯანელი სპორტსმენები, სომხებმა კი უარი შემოგვითვალეს.

ორდღიან ასპარეზობაზე რამდენიმე მაღალი შედეგი აღინიშნა: ქალთა შორის ბირთვის კვრაში საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის სტუდენტმა მარიამ ქევხიშვილმა 15 მეტრი და 70 სანტიმეტრი აჩვენა, რაც საქართველოს იუნიორთა ახალი რეკორდია.

მასპინძლებს არც აზერბაიჯანელი მძლეოსნები ჩამორჩნენ. 800 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა ალიბე შუხუროვი, რომელმაც მანძილი 1 წუთსა და 46,9 წამში დაფარა, რაც აზერბაიჯანის ახალი რეკორდია. გარდა ამისა, ამ სტაიერმა ოლიმპიური ნორმატივიც შეასრულა. თბილისელმა დავით ილარიანმა პირველად დაძლია 2 მეტრი სიმაღლე და 5 სანტიმეტრით აჯობა აზერბაიჯანელ აგილ პაშაევს.

სამაგიეროდ, სტუმართა გუნდის ლიდერმა ზია ჯაბაროვმა სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა — 7 მ. 27 სმ. დათო ილარიანი აქ მეორე იყო (7 მ. 5 სმ.).

საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს სტუმრებმა სპრინტერულ რბენებში. 100 მეტრი თემურ გასიმოვმა 10,5 წამში დაფარა, 200 მეტრზე იმარჯვა ბაქოელმა სტუდენტმა ღადამ იბრაჰიმოვმა — 20,9 წამი 400 მეტრი იბრაჰიმ ახმედოვმა — 48,2 წამში დაფარა. 3000 მეტრზე ახალციხელმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა გაიმარჯვა.

საქართველოს ქალთა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში ანგარიშით — 95,5:68,5 დაამარცხა მეტოქეები, ხოლო ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა (82:81) სძლია სტუმრებს. საერთო ანგარიშია 177,5:149,5 მასპინძელთა სასარგებლოდ.

შოთა ბოკერია.

სურათებზე: რეკორდსმენი მარიამ ქევხიშვილი; სტუმარ-მასპინძლები.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

◉ სამბო

ვეტერანებმა კვლავ გვასახელეს

ამას წინათ ლიტვის ქალაქ შაულიაიში, სამბისტთა ევროპის ჩემპიონატის პარალელურად, გაიმართა ვეტერანთა ევროპის პირველობა, სადაც, ტრადიციულად, წარმატებით იასპარეზეს ვეტერანებმა — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა, პანამერიკული თამაშების ორგზის გამარჯვებულმა პოლიციის პოლკოვნიკმა ზაურ სახვაძემ (82 კგ) და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, საქართველოს ორგზის ფალავანმა ანზორ ზურაბაულმა (100 კგ).

ზურაბ სახვაძემ ფინალში დაამარცხა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ვეტერანთა შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ლატვიელი გენადი პეტრავასი და ოქროს მედალი მოიპოვა.

ანზორ ზურაბაულმა ყველა შეხვედრა ასევე დამაჯერებლად მოიგო და ვეტერანებში ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ზაურ სახვაძე ოქროს მედლითა და სიგელით დააჯილდოვა სამბოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ ტიხომიროვმა (რუსეთი).

ჩვენი ვეტერანი ფალავნები 1-4 ნოემბერს ტაჯიკეთში, უკვე მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ და, იმედია, იქაც გვასახელებენ.

ლიტვაში გასამგზავრებლად ზაურ სახვაძეს სპონსორობა გაუწია ცნობილმა ბიზნესმენმა და ჩვენი სპორტსმენების დიდმა მოამაგემ ბადრი პატარკაციშვილმა; პარლამენტარმა ვალერი გელაშვილმა — თავისუფალ ჭიდაობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გია ბარამიძემ; შსს მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ; პოლიციის პოლკოვნიკმა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონმა მიხეილ სალაძემ; საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა და ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ; საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ემილ რაშმა.

შალვა ჩიხლაძე.

სურათებზე: მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ზაურ სახვაძე (მარცხნივ); მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და ევროპის ორგზის გამარჯვებული ანზორ ზურაბაული.

◉ ყოველი მხრიდან

დებიუტანტის ტრიუმფი

„ტურ დე ფრანსზე“ არანაკლებ პოპულარულ ველომარათონში „ჯირო დ' იტალია“ სენსაცია მოხდა — გაიმარჯვა 22 წლის დამიანო კუნიეგომ, რომელიც წლეულს პირველად მონაწილეობდა ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაში.

წლევანდელ სააპენინო „ჯიროს“ ორი მთავარი გმირი ჰყავს — პირველი, რასაკვირველია, მისი დებიუტანტი კუნიეგოა, რომელმაც თავისი საბოლოო წარმატება ეტაპებზე 4 გამარჯვებით განამტკიცა, თან უკან ჩამოიტოვა ისეთი აღიარებული მრბოლი, როგორიც „ჯიროს“ ორგზის ჩემპიონი ჯილბერტო სიმონია.

მეორე გმირი კი გახლავთ „რეაქტიულ ალედ“ მონათლული ალესანდრო პეტაკი, რომელმაც რეკორდული 9 გამარჯვება მოიპოვა ერთი მრავალდღიანი რბოლის ჩარჩოებში.

სურათზე: „ჯიროს“ გმირი — დამიანო კუნიეგო.

მაინც დაითხოვეს

ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, თუ პრესაში რა აჟიოტაჟი ატყდა ლონდონის „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელის კლაუდიო რანიერის გუნდში ყოფნა-არყოფნის გარშემო. და აი, წერტილი დაესვა ამ საკითხით სპეკულაციას: მთავარმა მწვრთნელმა, „არისტოკრატებთან“ ოთხი წლის მუშაობის შემდეგ, დატოვა ეს პოსტი.

„კლაუდიომ დიდი მუშაობა გასწია კლუბთან და გზა გაუკაფა მომავალი წარმატებებისათვის“, — ნათქვამია „ჩელსის“ პრესს-სამსახურის განცხადებაში.

მოელიან, რომ უახლოეს ხანში კლუბის მწვრთნელი გახდება წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ტრიუმფატორი ხოსე მოურინიუ.

როგორც ამბობენ, 52 წლის იტალიელი მწვრთნელი „ჩელსიდან“ კი წავიდა, მაგრამ ინგლისის დატოვებას არ აპირებს, რადგან, მისივე თქმით, ძალიან მოსწონს იქ მუშაობა. შესაძლოა, მან დაიკავოს „ლივერპულიდან“ მოულოდნელი დათხოვნილი ჟერარ ულიეს ადგილი.

„მთაო, გადმიშვი, გადმიშვი!“..

მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის ჩრდილოეთის კედლიდან დაპყრობა თითქმის შეუძლებლად მიიჩნეოდა. მაგრამ ნავსი გატყდა — კვირას, წმინდა სამების დღეს — რუსეთელი მთამსვლელების სამეულმა — პაველ შებალინმა, ილიას ტუხვატულინმა და ანდრეი მერიევმა — სწორედ ამ მხრიდან — ჯერ გაუვლელი მარშრუტით — მიაღწიეს მწვერვალს.

ჯგუფმა ორი ღამე გაატარა 8650 მეტრის სიმაღლეზე, დღისით მე-6, უმაღლესი კატეგორიის კლდეს ამუშავებდნენ; მხოლოდ შუამდე მიაღწიეს, შემდეგ სალი კედელი აღარ ნებდებოდათ.

კიდევ ერთი დღით აქ დარჩენა უკვე სასიკვდილო თავგანწირვას ნიშნავდა, ჟანგბადიც ელეოდათ. ამიტომ სამეულმა ოდნავ მარცხნივ გადაუხვია და 4 საათში უკვე მწვერვალს თავზე მოექცა.

მეორე დღეს იგივე უკვე ალპინისტთა მეორე სამეულმა გაიმეორა, რაც თავისებური მსოფლიო რეკორდია!

სპორტის რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 124, ოთხშაბათი, 2 ივნისი, 2004 წელი.

გიხაროდენ!

მადლობა პროფესიონალიზმისა და მზრუნველობისთვის

დედოფლისწყაროს სამშობიარო განყოფილებაში 22 წლის ზემოქედელ მაია ქავთარაძეს 20 მაისს, ამაღლება დღეს პირველი შვილი — ვაჟი შეეძინა. დედამ პატარას მიშიკო დაარქვა.

პირველი ვაჟის დაბადებით უზომოდ გაიხარა მამამ დავით ბაღდასარიანმა.

დედა-შვილის ჯანმრთელობა საიმედო პროფესიონალის ხელშია. ექიმები განყოფილების გამგე ნოდარ ბოჭორიშვილი და ნეონატოლოგი მარინა ხარაშვილი მზრუნველობას არ აკლებენ მათ. ვაჟის მშობლები დიდად ემადლიერებიან მათ თანადგომისთვის.

ნანა ჟიჟინაძე,
„სრ" საკ. კორ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ალბომი

ყველას რამე აქვს

ლევან ჰილაშვილი, ოთარ ჰითანავა, ჯუმბერ ლომინაძე და ევგენი ხარაძე. ენგურჰესი, 1985 წელი.

მოგვაწოდა რევაზ ტყემალაძემ.

სოფლის მადლი

პაპაჩემი „დიდი" კარლო

ადამიანის სახე ანარეკლია მისი შინაგანი სულიერი განწყობილებისა და მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს აზრს ელფერი არ ჰქონდეს. პაპაჩემი ერთი უბრალო გლეხი კაცია, რომლის ბუთხუზა სახე სიკეთეს ასხივებს. მას სოფელ ახაშენში „დიდ" კარლოს ეძახიან, რომლის თეთრ ცხენს შორიდან ცნობენ ბავშვები და ჟივილ-ხივილით ეგებებიან.

— მაიტა პაპა, შეგვსვი ცხენზე, რა?

— მიდი, აბა, შამაახტი, ნელა, არაფერი იტკინო.

ცხენი მისი განუყრელი მეგობარია. ერთხელ ავად გაუხდა და... ქალივით მოთქვამდა, ისე განიცდიდა: ჩემო თეთრავ, ღმერთი არ გაგიწყრეს, მარტო არ დამტოვო...

პაპა ამბობს, დილით მზეს უნდა დაასწრო ადგომა და ყოველ განთიადს ცხენის შეკაზმით შეეგებოო...

თუ ვინმეს საპატიო სტუმარი ეწვევა სოფელში და მასთან თავის გამოჩენა სურს, პაპას მიმართავენ თხოვნით: კარლო, შენი ჭირიმე, ოღონდ ახლა არ შემარცხვინო, შენი სანაქებო ღვინო მამეცი, მერე თუ გინდა „ბოლოზე მოგეხმარები" (ბოლოზე მოხმარება ვენახის ბოლოში გაშენებული საშემოდგომო ჭირნახულის აღება-დაბინავებას ნიშნავს).

პაპაც ულვაშებში ჩაიღიმებს და ღიღინ-ღიღინით ჩამოუსხამს ღვინოს.

თუ ვინმეს სურს მისი გულის მოგება, ვენახზე უნდა ესაუბრო. ის ამაყობს თავისი ვენახით და დღე არ გავა, რომ არ მოინახულოს. ის ვაზს ცოცხალ არსებასავით უვლის და ამბობს: ვაზი, შვილო, მგრძნობიარეა, დახე, რქაზე ცრემლი აქვს. ვაზი მართლა ტირის, შვილო. მას თუ არ მოუარე, თუ არ მოეფერე, არ გაიხარებს... პაპა ვაზს ბავშვს ადარებს: აი, პაპა გენაცვალოს, თუ ბალღ გული არ აჩვენე და არ მოეფერე, ეყვარები განა? ეგრეა ვაზიც, თუ არ მოუარე და მოეფერე, არ დაისახამს. ამას რომ ამბობს, პაპას თვალები ცრემლით ევსება.

პაპა ტყეშიც ხშირად დადის — ხან ფიჩხზე, ხან შეშაზე და კარგად იცის ტყეში სავალი ბილიკებიც. თუ უბნის ბიჭებმა სახლში დაიგულეს, არ მოასვენებენ:

— კარლო პაპავ, წამო, ტყეში წავიდეთ.

„დიდი" კარლო — მარჯვნივ.

— დაიცა, შვილო, ერთი დღე მაინც ამამასუნთქეთ. დედაკაცი არ მეტყვის, რა აღმა-დაღმა დაეხეტებიო? — მაგრამ მათ თვალებს რომ შეხედავს, ბებოს გასძახებს: ქეთავ, მიდი ერთი ბრეზენტის ჩანთა მამიტა, ბალღებს ტყეში წასვლა უნდათ, ჩამიწყე რამე. ხახვი არ დაგავიწყდეს და მარილი. პურიც ბლომად ჩადე. ვისაც სინდისი სუფთა აქვს, მადაც კარგი აქვს. თანაც, ახალგაზრდები არიან, ტყეში უფრო მადაზე მოვლენ. ბოცაში ღვინოც ჩამაასხი...

შვილიშვილები ზაფხულობით დღესასწაულებზე ვეწვევით ხოლმე. ამ დროს ის უსაზღვროდ ბედნიერია. მისი დიდრონი, მეტყველი თვალები ცრემლებით ივსება. ყოველი ჩასვლისას ომახიანი შეძახილით გვეგებება: „ჰო, ჰო, ჰო, ჩამოიდნენ ჩემი ბღარტები".

თითქმის მთელი სოფელი იგებს მის სიხარულს.

— რაო, კარლო პაპა, ჩამოგივიდნენ ქალაქელები?

— მაი, მაი, გამახარეს კაცი...

ის მუდამჟამს ისე გვეგებება, თითქოს პირველად გვხედავდეს. ცხოვრებას დღევანდელი დღით უყურებს და არასოდეს დღეის გასაკეთებელს ხვალისთვის არ გადადებს: რათა, დღეს რო გავაკეთო რა, მიჩივლებენ? ხვალ იქნებ ავდარი იყოს, — იტყვის ღიმილით.

არ უყვარს, როცა მის გასაკეთებელ საქმეს სხვა აკეთებს: რა ვქნათ, შვილო, ასეთია ცხოვრება. დასვენება მერეც მეყოფა გულზე ხელებს რო დავიკრეფ. ცოცხალი ვარ და სხვისი სათრევი რათ უნდა გავხდე.

ერთხელ, ზაფხულში, საშინლად ცხელოდა და სიცხისგან თავის დასაღწევად ალაზანზე ვთხოვეთ წასვლა. დღესა, შვილო? დღეს, მოდი „სემიჩკას" ავიღებ, თქვენც მამეხმარეთ, ხვალ წავიდეთ. ჩვენს ბუზღუნს რომ მოჰკრა ყური, განაწყენებულმა გვითხრა: მაი, როგორ გინდათ, სარჩო რო მოიწიოთ, ზოგჯერ სიამოვნებაზეც უნდა თქვათ უარი.

მწამს, რომ პაპაჩემის ცხოვრება მსგავსია ისეთი სამაგალითო კაცების ცხოვრებისა, სიკვდილის შემდეგაც რომ არ ივიწყებენ. თუმცაღა, ჩემი კეთილი პაპა ისეთი ჯანიანია, რა დროს ამაზე ლაპარაკია...

თამარ ბენაშვილი,
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკა-ჰუმანიტარული ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის მეხუთე კურსის სტუდენტი.

ხსოვნა

ვლადიმერ მერკვილაძე

ქართულმა ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი ვლადიმერ მერკვილაძე.

დაიბადა 1919 წ. 25 დეკემბერს ტყიბულის რაიონის სოფელ ზემო ჭყეპში. დაამთავრა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია. 1946-1961 წ.წ. იყო პასუხსაგებ პარტიულ თანამდებობებზე, შემდეგ — ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასრულებდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილისა და დირექტორის მოვალეობას. 1991-1996 წ.წ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1996 წლიდან — თსუ-ის სოხუმის ფილიალში სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის პროფესორად. იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი.

გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 6 მონოგრაფიული გამოკვლევა. წლების მანძილზე იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით დაცულ იქნა 15 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

პროფ. ვ. მერკვილაძე, როგორც მრავალმხრივ განსწავლული და ფართოდ ერუდირებული მეცნიერი, კრისტალური და გულისხმიერი ადამიანი, ყველგან და ყოველთვის სითბოსა და სიყვარულის უხვად მფრქვეველი პიროვნება, აღიარებული ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში. მისი მეგობრები, კოლეგები, თანამშრომლები, აღზრდილები, ისე, როგორც ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, არასოდეს დაივიწყებენ ამ ღვთისნიერი კაცის ღრმაშინაარსიან მოღვაწეობას, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩვენი ერისა და ქვეყნის კეთილდღეობას მიეძღვნა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი; ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის სოხუმის ფილიალი.

არჩილ ბაქრაძე

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი არჩილ ბაქრაძე.

ა. ბაქრაძე დაიბადა 1942 წელს ქ. თბილისში. 1959 წელს, 53-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, ხოლო 1966 წელს, მკვეთრად გამოხატული ფილოსოფიური ინტერესების გამო, სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1969 წლიდან გარდაცვალებამდე არჩილ ბაქრაძე ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი იყო. იგი მიეკუთვნება სამოციანელთა იმ შესანიშნავ თაობას, რომელმაც ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად მიმართულებად ადამიანის რაობის, კულტურისა და ღირებულებების კვლევა მიიჩნია. ამან ინსტიტუტს მისცა ის ინდივიდუალური, თვითმყოფადი და ჭეშმარიტი ფილოსოფიური სახე, რომლითაც იგი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში არსებული მარქსისტული ორიენტაციის მქონე ამავე პროფილის ინსტიტუტებისგან მკვეთრად გამოირჩეოდა.

1973 წელს მან თავისი მასწავლებლის, აკად. ა. ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ადამიანის პრობლემა ვლ. კოლოვიოვის ფილოსოფიაში". ოცდაათწლიანი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე ა. ბაქრაძემ ფილოსოფიის ისტორიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის და თანამედროვე რელიგიური ფილოსოფიის საკითხებზე სამი მონოგრაფია და ათეულობით სტატია გამოაქვეყნა, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დაფუძნებისა და წინსვლის საქმეში. იგი ცდილობდა, ადამიანის არსის ირაციონალისტური პოზიციებიდან გააზრებას, ევროპული ფილოსოფოსებისა და თეოლოგების ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ შეხედულებათა კრიტიკული განხილვის საფუძველზე. ა. ბაქრაძე პირველია ქართველ ანთროპოლოგთა შორის, ვინც შეეჭიდა და საფუძვლიანად დაამუშავა რელიგიური ანთროპოლოგიის ძირითადი ასპექტები.

ა. ბაქრაძე სამეცნიერო მუშაობას წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის და სასულიერო აკადემიის ლექტორი იყო. ფართო ერუდიცია და ფილოსოფიურ პრობლემებში ღრმად გარკვევის უნარი მის ლექციებს სტუდენტთათვის უაღრესად საინტერესოს ხდიდა.

ადამიანის შესახებ ფილოსოფიურ პრობლემებზე მოფიქრალი მეცნიერი, არჩილ ბაქრაძე, თავად შესანიშნავი პიროვნება იყო. გამორჩეულად ნიჭიერი, კეთილშობილი, კაცთმოყვარე, მოკრძალებული, ჭეშმარიტი ინტელიგენტი — ასეთი ემახსოვრებათ იგი ახლობლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, სტუდენტებს.

დიდი გულისტკივილით ეთხოვება ფილოსოფიის ინსტიტუტი არჩილ ბაქრაძეს. მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ქართული ფილოსოფიისა და, საერთოდ, ქართული კულტურისთვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის 1965 წლის 803 ჯგუფის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ (აჩიკო) თენგიზის ძე ბაქრაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ელენე, შვილები ნანა, მარიამ კვერნაძეები, შვილიშვილები იაკო, ომარიკო მიქელთაძეები, დისწულები გიზო, დათო ხაზარაძეები, სიძეები გიორგი ხაზარაძე, დავით მიქელთაძე, სიდედრი ელიზავეტა გრიშინა, ცოლისდა ანა ნადარეიშვილი, მძახლები ივეტა, ომარ მიქელთაძეები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ალექსანდრეს ძე კვერნაძე

პანაშვიდი 2 VI, 17 სთ. დაკრძალვა 3 VI, 15 სთ. კ. მარჯანიშვილის ქ. 27.

გიორგი ხაზარაძე ოჯახით, შვილები გიზო და დათო ხაზარაძეები, რძლები მარიკა ჯაფარიძე და ნინო ნემსაძე იუწყებიან ცოლისძმის

თამაზ კვერნაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კახა ჯალაღონიას მამის

ბორის ჯალაღონიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პერინატოლოგთა და მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მარნეულის რაიონის ყოფილი მთავარი მეან-გინეკოლოგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი

ასილდარ ჯანმირზოევი

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა და კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სამხედრო კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის

დავით შონიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ამინდი დღეს

თბილისი —	+13,	+22
ბათუმი —	+14,	+20
სოხუმი —	+14,	+19
ფოთი —	+14	+19
ქუთაისი —	+13,	+19
გორი —	+13,	+20
თელავი —	+13,	+22

ლარის კურსი

2 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.5234 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9200 ლარი
ევრო	1	2.3466
რუსული რუბლი	1	0.0662 ლარი.

ცოტაც გავიღიმოთ...

— თქვენი აზრით, როგორ უნდა ვებრძოლოთ დამნაშავეობას? — ეკითხება ჟურნალისტი ქუჩაში გამვლელს.

— საერთოდ, ადამიანებს ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ პატიოსნება. ახლა კი საჭიროა წესრიგის გაძლიერებულად დაცვა. უნდა გამკაცრდეს დამნაშავეთა დასჯის ზომები: მკვლელები კედელთან უნდა მივაყენოთ, ქურდები — ნარებზე, მექრთამეები — ციმბირში... მოაშორეთ კამერა! ტელეობიექტივი მოაშორეთ!

— რაშია საქმე?

— ჩემზე ხომ ძებნაა გამოცხადებული.

* * *

ბატონო გერმანელებო და იაპონელებო! გაუფრთხილდით საკუთარ ავტომანქანებს — ისინი ხომ ჩვენ უნდა ვიყიდოთ.

* * *

პოლიციის პატაკიდან: „დამნაშავენი ლიფტში შევიდნენ და უცნობი მიმართულებით მიიმალნენ".

* * *

ძალაუფლება აფუჭებს ადამიანებს, მაგრამ ასე გაფუჭებულად ცხოვრებაც არ არის ცუდი.

თეატრი

რა არ ხდება სასწაულების ქვეყანაში

დიდი ხანია არ გადაგიფურცლავთ პუშკინის ზღაპრები? ხომ არ მოგენატრათ უფლისწული და მძინარე მზეთუნახავი, მეფე გვიდონი და ვარსკვლავ-გოგონა, მეცნიერი კატა და ცოცხზე გადამჯდარი დედაბერი?

თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა ყველა მათ ერთ პიესაში მოუყარა თავი და ამ დღეებში მაყურებლის სამსჯავროზე გამოიტანა.

დედაქალაქში გრიბოედოველებმა მხოლოდ ორი სპექტაკლი ითამაშეს, მესამე წარმოდგენა კი გორის სახელმწიფო თეატრის სცენაზე გამართეს.

მაყურებელი მოიხიბლა არა მარტო ი. გარუზოვას და პ. ხოტიანოვსკის საინტერესოდ მოფიქრებული დადგმით, აგრეთვე, მშვენიერი სცენოგრაფიითა და მუსიკით, პირველ რიგში, მსახიობთა ოსტატური თამაშით. ნურავის ექნება იმედი, რომ გზა გაუმრუდოს ადამიანებს, რომ ბნელმა დაჩაგროს ნათელი, უგუნურებამ გონიერება — სიმართლის ხმა ქვეყნად ქუხს!

ქუხდა დარბაზიც, ბოლო არ უჩანდა აღტაცების შეძახილებს, მაყურებლებს მსახიობებთან მიჰქონდათ ყვავილები და მადლობას უხდიდნენ იმისთვის, რომ ლამის თხუთმეტწლიანი ცრუპატრიოტულ-პოლიტიკური იძულებითი ანტრაქტის შემდეგ სცენიდან კვლავ გაისმა პოეტური, წრფელი და მიმნდობი რუსული სიტყვა.

სპექტაკლში მთავარი როლები შეასრულეს მსახიობებმა ვ. ხარტიუჩენკომ, მ. ამბროსოვამ, ა. ჯიოევამ, ი. მელვინეთუხუცესმა, ი. ვორობიოვამ და სხვებმა.

გორში გრიბოედოველთა ჩამოსვლას სასიამოვნო სიურპრიზიც ახლდა: სპექტაკლის დაწყების წინ საქართველოში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებმა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრას მეთოდიკური და მხატვრული ლიტერატურა გადასცეს.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

შვილი რუსუდან მერკვილაძე, სიძე გოჩა წერეთელი შვილიშვილებით ზვიადი და დეა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

ვლადიმერ ნესტორის ძე მერკვილაძე

პანაშვიდი 3, 4 VI, 17 სთ. დაკრძალვა 5 VI, 15 სთ. ჭონქაძის ქ. 14.

მეუღლე სულხან გულაღაშვილი, შვილები ნანა, ნელი, მუხრან გულაღაშვილები ოჯახებით, ძმები ვალერიან და გიორგი პაპუაშვილები ოჯახებით, მაზლები დიმიტრი, არჩილი და ვახტანგ გულაღაშვილები, მულები მაყვალა, ლამარა და ქენია გულაღაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნატალია ქიტას ასული პაპუაშვილი

პანაშვიდი 2 VI, 15 სთ. დაკრძალვა 3 VI, 14 სთ. საგარეჯოს რაიონი, სოფელი კაკაბეთი.

ხსოვნა

რევაზ აბსავა



გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ალგებრა-გეომეტრიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი რევაზ მიხეილის ძე აბსავა.

რევაზ მიხეილის ძე აბსავა დაიბადა 1947 წლის 9 თებერვალს, ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგოლიშში. ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ 1965-1969 წლებში სწავლობდა ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედინსტიტუტში მათემატიკის სპეციალობით. 1969-1971 წლებში მუშაობდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1971 წლიდან რ. აბსავამ მოღვაწეობა დაიწყო ჯერ სოხუმის პედინსტიტუტში, ხოლო 1979 წლიდან — აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, 1987 წლიდან კი ალგებრა-გეომეტრიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

რევაზ აბსავამ 1986 წელს მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1977-1979 წლებში იყო ფაკულტეტის პროფკავშირის თავმჯდომარე. 1979-1983 წ.წ. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა იდეურ-აღმზრდელობით დარგში, ხოლო 1983-1989 წლებში — დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში. 1989 წელს რ. აბსავა აირჩიეს თსუ სოხუმის ფილიალის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, 1994 წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობდა ალგებრა-გეომეტრიის კათედრას. მან გამოაქვეყნა 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის, 3 მეთოდური მითითება და ერთი მონოგრაფია. რევაზ აბსავას შრომები გამოცემულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, მოსკოვში, ვილნიუსში, ტაშკენტში, კიოტოში, ლონდონში, ამერიკაში, ჰოლანდიასა და სხვ. იყო მრავალი რესპუბლიკური, თუ საერთაშორისო კონფერენციის და კონგრესის მონაწილე.

ბატონ რ. აბსავას ინიციატივით და ხელმძღვანელობით 2001 წლის 21-23 აპრილს სოხუმის ფილიალში ჩატარდა მათემატიკოსთა რესპუბლიკური კონფერენცია.

ბატონ რევაზ აბსავას მზად ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელმა სადისერტაციო საბჭომ მიიღო რევაზ აბსავას სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „განაწილების კანონის ფუნქციონალური მახასიათებლების არაპარამეტრული შეფასებები და გამოყენება კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის ამოცანებში" (სპეციალობა 01.01.08 მათემატიკური კიბერნეტიკა). გამოყვეს ოფიციალური ოპონენტები, დაინიშნა დაცვის დღეც — 22 ოქტომბერი...

ბატონმა რევაზ აბსავამ მძიმედ განიცადა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია, რასაც თან დაერთო პირადი უბედურებით (გარდაეცვალა მშობლები და და) გამოწვეული მწუხარება. მიუხედავად განსაცდელისა, იგი ბოლომდე მედგრად იყო, ყველას სულიერი სიმტკიცის მაგალითს აძლევდა. რ. აბსავამ თან გაიყოლა მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნების იმედი.

უდროოდ წავიდა დიდებული მოქალაქე, მეცნიერი, პედაგოგი, მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა. რევაზ აბსავა გამოირჩეოდა პიროვნული თვისებებით, კეთილი საქმეებისთვის მუდამ მზადმყოფი უშურველად გასცემდა სითბოს. იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა სოხუმის ფილიალის მთელ კოლექტივსა და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის.

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის, ბატონო რევაზ, ქართული მიწა!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „თანადგომა-1"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **ბონდო გულიაშვილი.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**